2011 წელი, 24 თებერვალი - 2 მარტი

ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№8 (522) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ფოტო სესილი დარჩიასი

გამოცდების ეროვნული ცენტრი

## საატესტატო გამოცდები

**სად და როგორ გაივლიან მოსწავლეები (ექსტერნები) გამოსაშვები გამოცდებისათვის რეგისტრაციას?**

მოსწავლეთა რეგისტრაცია გამოსაშვები გამოცდებისათვის უშუალოდ სკოლებში, ელექტრონულად განხორციელდება.

ექსტერნები რეგისტრაციას (ასევე ელექტრონულად) საგანმანათლებლო რესურსცენტრებში გაივლიან.

**როდის გაივლიან მოსწავლეები (ექსტერნები) რეგისტრაციას?**

გამოსაშვები გამოცდებისათვის რეგისტრაცია დაიწყო 14 თებერვალს და 25 მარტამდე გაგრძელდება. მოსწავლეები რეგისტრაციას გაივლიან საკუთარ სკოლებში, ექსტერნები – რესურსცენტრებში.

**ვის შეაქვს მოსწავლის (ექსტერნის) მონაცემები სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში?**

მოსწავლე (ექსტერნი) რეგისტრაციისათვის მიმართავს სკოლას (რესურსცენტრს), სისტემაში მონაცემები შეაქვს სკოლის (რესურსცენტრის) წარმომადგენელს.

**რა მონაცემები უნდა იქნეს მითითებული რეგისტრაციისას?**

რეგისტრაციისას მითითებული უნდა იქნეს:

- სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- უცხოური ენა – ერთ-ერთი იმ უცხოური ენებიდან, რომელსაც სწავლობს და რომლის ჩაბარების სურვილიც აქვს მოსწავლეს (ექსტერნს);
- გამოცდის ენა (სექტორი).

**უნდა დაამოწმოს თუ არა მოსწავლემ (ექსტერნმა) საკუთარი მონაცემები (ამობეჭდილი სახით)?**

სკოლა (რესურსცენტრი) რეგისტრაციის დასრულებამდე მოსწავლესთან (ექსტერნთან) გადაამოწმებს მონაცემების სისწორეს, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კი მას დაამოწმებინებს მონაცემების სისწორეს სპეციალურ ნუსხაში, თუ მოზარდი არ დაამოწმებს ამონაბეჭდს, ბაზაში არსებული მონაცემები ჩაითვლება საბოლოოდ.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მონაცემებში ცვლილების შეტანა აღარ მოხდება.

**მიიღებს თუ არა მოსწავლე (ექსტერნი) რაიმე ტიპის ცნობას ან საგამოცდო ბარათს?**

მოსწავლე (ექსტერნი) მიიღებს მოსაწვევს, სადაც მითითებული იქნება გამოცდებზე გამოცხადების ადგილი და დრო.

# დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ძვირფასო მეგობრებო! მოახლოვდა საატესტატო გამოცდები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებთ როგორც პედაგოგებს, ისე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს. დრო რომ დაზოგოთ და შრომა შეიმსუბუქოთ, ანუ საატესტატო პროგრამის გამეორებისათვის წინა კლასების სახელმძღვანელოების მოძიება და მათი დამუშავება არ დაგჭირდეთ, **გამომცემლობა „დიოგენემ“** მოგიმზადათ საჩუქარი: გამოიცა რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო, რომლებიც საატესტატო საგამოცდო პროგრამის მიხედვითაა შედგენილი და მოკლედ, მაგრამ ამომწურავად ხსნის თითოეულ პროგრამულ საკითხს. ეს სახელმძღვანელოები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ნებისმიერ მოსწავლეს: ძლიერებს – საგნის გამეორებაში, სუსტებს კი – მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვაში.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა თითოეული სახელმძღვანელოს შესახებ:




**საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია. XI-XII კლასები**
კონსპექტი საატესტატო გამოცდისათვის და ტესტები
ავტორი – **ბესიკ ლორთქიფანიძე**

მომავალი გამოცდისათვის მომზადების პროცესში მოსალოდნელი ყველა სირთულის გათვალისწინებით ავტორმა შეადგინა კომპაქტური სახელმძღვანელო (კონსპექტი), რომლის შინაარსი თანმიმდევრულად მიჰყვება საატესტატო პროგრამას. კონსპექტი 39 პარაგრაფისაგან შედგება. პროგრამული საკითხების იოლად მოსაძებნად თითოეული პარაგრაფი პროგრამის შესაბამისი პუნქტის მიხედვითაა დასათაურებული.

კონსპექტს მოსდევს ტესტური დავალებების კრებული, რომელიც სრულად ასახავს პროგრამულ მასალას. ეს ტესტები, ერთი მხრივ, მოსწავლეს მისცემს საშუალებას, ობიექტურად შეაფასოს თავისი ცოდნა, მეორე მხრივ კი, დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს მოსწავლის შეფასებაში. ამ თვალსაზრისით, მისი გამოყენება მიზანშეწონილია XI და XII კლასებთან მუშაობის პროცესშიც, მთელი წლის განმავლობაში. ტესტური დავალებები დაყოფილია ბლოკებად (საკონტროლო წერებად). თითოეულ ბლოკში მოცემულია ტესტების 2-2 ვარიანტი. სულ გათვალისწინებულია 10 საკონტროლო წერა (5-5-თითოეულ კლასში). ტესტები დაბეჭდილია სპეციალური ტექნიკით, პერფორირებულ ქაღალდზე, რათა მოსწავლემ თავისუფლად შეძლოს თავისი ნამუშევრის ამოხევა და მასწავლებლისათვის შესამოწმებლად გადაცემა.




**საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია**
საატესტატო საგამოცდო საკითხების კრებული
ავტორი – **დავით ფერაძე**

ავტორმა გაითვალისწინა, რომ საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის მინიმალური სტანდარტის შესაბამისი საკითხები ამ ეტაპისთვის გამოცემულ სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოებშია გაბნეული, თან არასისტემურად და უმთავრესად მხოლოდ წყაროების სახით, ზოგიერთი საკითხი კი საერთოდ არ გვხვდება. ეს კრებული კი აკმაყოფილებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წლის საატესტატო გამოცდების მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას და ფარავს ყველა საკითხს. ამავდროულად, ტექსტი დაწერილია მარტივი და იოლად აღსაქმელი ენით, არც ერთი თემა არ არის ვრცელი და მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, უმოკლეს დროში, ზედმეტი დროისა და ენერგიის ხარჯვის გარეშე მოემზადოს გამოცდებისთვის.

კრებულს თან ერთვის ტესტური დავალებები.

მართალია, კრებული ძირითადად საატესტატო გამოცდებზე გამსვლელთათვისაა შედგენილი, მაგრამ ის დიდ დახმარებას გაუწევს XI და უფრო დაბალი კლასების მოსწავლეებს (რომლებიც უკვე ემზადებიან საგამოცდოდ), საგნის მასწავლებლებს, აბიტურიენტებსა და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.




**ბიოლოგია**

კონსპექტი საატესტატო გამოცდისათვის

ავტორი
**მალხაზ მაყაშვილი**

კონსპექტი მცირე მოცულობისაა. ძირითადი პროგრამული მასალა წარმოდგენილია ცხრილების სახით, რაც მაქსიმალურად გააადვილებს ნებისმიერი საკითხის მთლიანობაში აღქმასა და დამახსოვრებას. რაც მთავარია, კონსპექტი შედგენილია საატესტატო პროგრამის ისეთი სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელთა დაძლევა მოსწავლისგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგალითად, ტექსტიდან, ნახატიდან, გრაფიკიდან, სქემიდან, ცხრილიდან და დიაგრამიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრება, მონაცემების აღრიცხვა, დაჯგუფება და წარმოდგენა სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალების (ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და სხვ.) გამოყენებით, თვალსაჩინოებაზე სტრუქტურების ამოცნობა, თანმიმდევრულად დალაგება და სხვ.

# ქუთაისის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

**ქუთაისის უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს ეკონომიკის დეპარტამენტის სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებში:**

ეკონომიკა – 1 განაკვეთი
ფინანსები – 1 განაკვეთი

კონკურსის პირობები შესაბამისობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/6 ბრძანებასთან და ქუთაისის უნივერსიტეტის მოქმედ წესდებასთან.

**მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად**

<u>სრული პროფესორი</u> – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას

- დოქტორის აკადემიური ხარისხი
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის, სულ მცირე, 6 წლის გამოცდილება

საბუთები მიიღება 28 მარტიდან 15 აპრილამდე,
კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 23 მაისისა.

**წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
2. ერთი ფოტოსურათი, ზომით 3x4;
3. პირადობის მოწმობის ასლი;
4. CV ქართულ და ინგლისურ ენებზე (დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
5. წერილობითი თანხმობა, აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში აკრედიტაციის მიზნებისათვის ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორად დაფიქსირების შესახებ;
6. არჩეული საგნის სილაბუსი (დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
7. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია;
8. სამეცნიერო და აკადემიური ხარისხების დასადასტურებლად წარმოადგინეთ შესაბამისი დიპლომების ორიგინალები და მათი ქსეროასლები;
9. სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ჟურნალის ან ჟურნალიდან ქსეროასლის სახით, თანდართული სარჩევის იმ გვერდის ასლით, რომელზეც აღნიშნული სტატიაა მითითებული;
10. დაცული დისერტაციის ხელმძღვანელობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება შესაბამისი ჩანაწერი ავტორეფერატის სატიტულო ფურცელზე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში თვით ნაშრომის სატიტულო ფურცელზე (ორიგინალის სახით). მიმდინარე დისერტაციის ხელმძღვანელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება სადისერტაციო საბჭოს/დეკანის მიერ დამოწმებული ამონაწერი შესაბამისი ოქმიდან;
11. კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება დიპლომი ან სხვა რაიმე ცნობა, სადაც მითითებული იქნება გრანტის გამცემი ორგანიზაცია, გაცემის წელი და ნომერი;
12. სარედაქციო საქმიანობის დამადასტურებლად ჩაითვლება შესაბამისი ჟურნალის რომელიმე ნომერი;
13. სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება შრომის წიგნაკის ჩანაწერების კანცელარიის მიერ დამოწმებული ქსეროასლი ან ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან;
14. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ამ კონფერენციის კრებულის ორიგინალი და თეზისის ქსეროასლი;
15. გამოქვეყნებული წიგნების ავტორობის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი წიგნი;
16. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატის ორიგინალი და ქსეროასლი.

**კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქუთაისის უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.unik.edu.ge და კადრების განყოფილებაში.**
**მისამართი: ქუთაისი, წერეთლის ქ. № 13, მე-2 სართული ტელ.: 4-33-14, 4-23-73, 4-52-97 e-mail: info@unik.edu.ge**
**საკონტაქტო პირი: ჟენია ენდელაძე**

# სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## რექტორის გზავნილი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალწლიანი ისტორია და ტრადიციები აქვს. დასახულია დიდი გეგმები და პროექტები, რომელთა განხორციელებას იმედით შევყურებთ. იმედის საფუძველს ის თანადგომა და მხარდაჭერა გვაძლევს, რომელსაც ხელისუფლებისაგან, ბიზნესმენებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან ვგრძნობთ. ეს არის იმის წინაპირობა, რომ მიზანს ყველანი ერთად მივაღწევთ. ჩვენი უმთავრესი მიზანი კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფაა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი მუდამ ღიაა სტუდენტების ახალი თაობების მისაღებად. ჩვენი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა კურსდამთავრებულები მომზადებულნი შეხვდნენ დროის მოთხოვნებს და თამამად შეაბიჯონ მომავალში.

გისურვებთ წარმატებებს!

*რექტორი, პროფესორი* ***ჯონი აფაქიძე***

## უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს შვიდ ფაკულტეტზე:

- მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
- ეკონომიკისა და ბიზნესის;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა;
- განათლების;
- იურიდიული.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე :

**www.sou.edu.ge**

| | |
|---|---|
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი: | 012 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ფაქტიური მისამართი და ტელეფონი | ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №9, ტელ. 54 14 05 |
| ვებგვერდი | www.sou.edu.ge |
| ელ.ფოსტა | info@sou.edu.ge |
| საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა) | ნესტან კეკელია; 54 14 06; 877 17 07 01 ; nestanikekelia@yahoo.com |
| სპეციალური პირობები აბიტურიენტებისთვის | |
| ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ | |

| ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | სწავლების ენა | კრედიტების რაოდ. | წლიური გადასახადი | ადგილების რაოდენობა | ზოგადი უნარები | შემოქმედებითი ტური | პრიორიტეტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | | |
| ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის | ქართული | 60 | 2000 | 23 | 12 | | |
| ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის | ქართული | 60 | 2000 | 23 | 12 | | |

| ფაკულტეტის აკადემიური პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია | სწავლების ენა | კრედიტების რაოდ. | წლიური გადასახადი | ადგილების რაოდ. | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტური | პრიორიტეტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
| I. მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 1750 | 60 | 2 | 3 | 2 | 5 | | | | | | | | 4-2-1-3 |
| მათემატიკა | მათემატიკის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| კომპიუტერული ტექნოლოგიები | ინფორმატიკის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 1750 | 50 | 2 | 4 | 2 | 4 (10) | | 4 (10) | | 4 (10) | 4 (10) | 4 (10) | | 4/6/8/9/10-2-1-3 |
| ფიზიკა | ფიზიკის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ქიმია | ქიმიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბიოლოგია | ბიოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ეკოლოგია | ეკოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფიზიკური გეოგრაფია | გეოგრაფიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბიოსამედიცინო ინჟინერია | ინჟინერიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | ქართ. | 240 | 2000 | 20 | 2 | 4 | 2 | | | | | | 4 (10) | 4 (10) | | 9/10-2-1-3 |
| ფარმაცია | ფარმაციის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| III. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 1750 | 90 | 4 | 2 | 3 | | 3 (30) | | 3 (60) | | | | | 1-3-5/7-2 |
| ქართული ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| აფხაზური ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ინგლისური ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| გერმანული ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფრანგული ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| სლავური ფილოლოგია | ფილოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| არქეოლოგია | არქეოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ისტორია | ისტორიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| თურქოლოგია | რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| IV. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 2000 | 45 | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | | 1-3-5-2 |
| სოციოლოგია | სოციოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| ფსიქოლოგია | ფსიქოლოგიის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| პოლიტიკური მეცნიერებები | პოლიტიკის მეცნიერებების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | ქართ. | 240 | 2000 | 15 | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | | 1-3-5-2 |
| საერთაშორისო ურთიერთობები | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| V. განათლების ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 1750 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 (40) | | 3 (20) | | | | | 1-2-3-5/7 |
| დაწყებითი განათლება | განათლების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| სკოლამდელი აღზრდა | განათლების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| კორექციული პედაგოგიკა | განათლების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. —————— | | | | | | | | | | | | | | | | | |
| VI. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ქართ. | 240 | 2000 | 10 | 2 | 4 | 2 | 4 | | | | | | | | 4-2-1-3 |
| ეკონომიკა | ეკონომიკის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | ქართ. | 240 | 2250 | 50 | 2 | 4 | 2 | 4 | | | | | | | | 4-2-1-3 |
| ბიზნესი და მართვა | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |
| VII. იურიდიული ფაკულტეტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | ქართ. | 240 | 2250 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | | 1-2-3-5 |
| სამართალმცოდნეობა | სამართლის ბაკალავრი | | | | | | | | | | | | | | | | |

დებულების თანახმად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 20%-ით უცხო ენებისათვის და 25%-ით სხვა დანარჩენი საგნებისათვის (იმისათვის, რომ აბიტურიენტმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მან სწორედ უნდა უპასუხოს დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი). თქვენ შეგიძლიათ სურვილისამებრ გაზარდოთ მინიმალური ზღვარი ნებისმიერი საგნისათვის. ასეთ შემთხვევაში თქვენ ქვემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიუწეროთზღვარის ახალი მნიშვნელობა პროგრამების მიხედვით.

| პროგრამის დასახელება | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 |
| მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | 25%+1 | | | | | | |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | 25%+1 | | 25%+1 | | 25%+1 | 25%+1 | 25%+1 |
| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | | 25%+1 | | 25%+1 | | | |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | | 25%+1 | | | | | |
| განათლების ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | | 25%+1 | | 25%+1 | | | |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | 25%+1 | | | | | | |
| იურიდიული ფაკულტეტი | 25%+1 | 25%+1 | 20%+1 | | 25%+1 | | | | | |

საგანმანათლებლო კერა

# განათლების კერები მესხეთში

**_ნატო ყრუაშვილი_**
_ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი_

მესხეთი საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ კუთხის კულტურულ დაწინაურებას ადრეული პერიოდიდანვე ასაბუთებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა, წერილობითი და ისტორიული ძეგლები. განათლებისა და კულტურის განვითარებას ხელი შეუწყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ. რასაც მოჰყვა ფართო სამონასტრო მშენებლობა, რომლებიც იმთავითვე ჩამოყალიბდნენ საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად. ასეთი ცენტრები მრავლად იყო მესხეთში – შუა საუკუნეებში 13 საეპისკოპოსო კათედრალი მოქმედებდა. მესხეთში შეიქმნა მთელ ქვეყანაში მომქმედი ბექა-აღბუღას სამართალი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“, აქვე იყო ბეშქენ და ბექა ოპიზრების მიერ დაარსებული ოპიზის სამხატვრო სკოლა, რაც უმთავრესია, აქ დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“... ისტორიულად მესხეთი ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა. თუმცა, იყო დრო, როდესაც ეს კუთხე მთლიანად ჩამოაშორეს საქართველოს და მხოლოდ მისი ერთი ნაწილის დაბრუნება გახდა შესაძლებლი.

XIX საუკუნის I ნახევარში – 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით, მესხეთის ერთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან, შეუერთდა საქართველოს და, იმავდროულად, აღმოჩნდა მეორე დამპყრობლის – რუსეთის ხელში, რომელმაც იმთავითვე დაიწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელება. რეალური საფრთხე შეექმნა ყოველივე ეროვნულს, ქართულს. მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ადგილობრივ მცხოვრებთა გადაგვარება-გარუსება შეადგენდა სხვა არარუსი ხალხის მსგავსად, მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაბეჩავება, რათა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდათ. აქედან გამომდინარე ეპოქის უპირველეს მოთხოვნად იქცა მოსახლეობაში განათლების შეტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქთა მრავალწლიანმა ბატონობამ ზოგადად განათლების სფეროში შექმნა მძიმე ვითარება. აუცილებელი გახდა განსაკუთრებით ქალთა განათლება. ტრადიციულად, ქართულ ოჯახში ქალი ძირითად აღმზრდელად და ეროვნული ტრადიციების დამცველად იყო მიჩნეული. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, აქაური ხალხი განსაკუთრებით ერიდებოდა გოგონების სკოლაში გაგზავნას ვაჟების გვერდით და ისიც მამაკაც მასწავლებელთან მეცადინეობას – აშკარად ჩანს მაჰმადიანური თურქეთის გავლენა.

მესხები, კათოლიკე გოგონები უმეტესად მოხუცებულ დედაკაცებთან სწავლობდნენ ქართულ ლოცვებს და შემდგომ – შემოკლებულ და ვრცელ საქრისტიანო მოძღვრებას ხელნაწერი წიგნებით. მასწავლებელ დედაკაცებს „ოსტატებს“ ეძახდნენ. ხელნაწერთა წიგნების სწავლების შემდეგ ოსტატები ბეჭდურის კითხვას ასწავლიდნენ. დაბეჭდილ წიგნთა შორის, ხმარებაში რომში გამოცემული საღმრთო წერილის წიგნები ჰქონდათ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში, სამცხე-ჯავახეთში, ქალთა განათლების ერთ-ერთ ფორმად ე. წ. საშინაო-საოჯახო სკოლები იქცა, სადაც მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებით არ შემოიფარგლებოდნენ. ასწავლიდნენ: ანგარიშს, ლოცვებს, ეტიკეტს, ე.ი. საზოგადოებაში ქცევის წესებს და, რაც მთავარია, ქალის ხელსაქმეს: ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვას და ა.შ., საშინაო სკოლების მიზანი გლეხთა და ხელოსანთა ოჯახებიდან გამოსული გოგონებისათვის ელემენტარული განათლების მიცემა იყო. XIX საუკუნის I ნახევრის მდგომარეობით, სამცხე-ჯავახეთში რამდენიმე ასეთი სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთაც იმ დროის შესაფერისად განათლებული ქალბატონები უძღვებოდნენ. სწავლის ქირას ნატურით ანაზღაურებდნენ.


იოსებ ხუციშვილი

ერთ-ერთ ასეთი საოჯახო სკოლას ჯავახეთის უძველეს სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი) უძღვებოდა **_თერეზინა ხუციშვილი,_** ხიზაბავრის მკვიდრი, „მესხ ჰუტენბერგად“ წოდებული ქართველი კათოლიკე მღვდლის – **_იოსებ ხუციშვილის_** და. იოსებმა დამოუკიდებლად დააფუძნა სტამბა ჯერ სოფელ ხიზაბავრაში 1836 წელს, შემდეგ ქალაქ ახალციხეში გადაიტანა. მისი სტამბა 10 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა (1836-1846 წლებში) და რამდენიმე ათეული სხვადასხვა სახის წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის: ლოცვის წიგნები, ლექსების კრებული და ა.შ. იმ დროისათვის ეს ერთადერთი ქართული სტამბა იყო საქართველოში. იქ დაბეჭდილმა წიგნებმა უდიდესი საგანმანათლებლო მისია შეასრულა წიგნსმოკლებულ სამცხე-ჯავახეთში. სასტამბო საქმიანობაში და წიგნების გამშვენიერებაში (გაფორმებაში) იოსებ მღვდელს დახმარებას უწევდა მისი და – თერეზინა. ხატავდა თავისუფლად დატოვებულ ფურცლებს და აშიებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ ხუციშვილს, თავის სახლში, გახსნილი ჰქონდა ორი სასწავლებელი: „სავაჟებო“ და „საქალებო“. „საქალებო“ სასწავლებელს ე.ი. გოგონების განათლებას უძღვებოდა თერეზინა. და-ძმა ხუციშვილები სახელმძღვანელოებად თავიანთ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებსაც იყენებდნენ. გადმოცემით, თერეზინა გოგონებს, ძირითადად, წერა-კითხვას, ლოცვებსა და ქალის ხელსაქმეს ასწავლიდა. ამდენად, მისი საოჯახო სკოლის მიზანი იყო გოგონების, როგორც მომავალი დედებისა და აღმზრდელების, მომზადება ცხოვრებისათვის.


ივანე გვარამაძე

სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა ვალეში არსებული საოჯახო სკოლა. ამ სკოლის დამაარსებელი იყო **_მარიამ გასპარის ასული ბაღდოშვილი,_** ცნობილი საზოგადო მოღვაწის – მესხი განმანათლებლის **_ივანე გვარამაძის_** („ვინმე მესხის“) დედა. გარდა ზეპირი გადმოცემებისა, ცნობები მარიამ ბაღდოშვილის საშინაო სკოლის შესახებ სწორედ მან შემოგვინახა ავტობიოგრაფიულ ნაშრომში.

ივანე გვარამაძე დედისა და მისი სასწავლებლის შესახებ წერდა: „სოფელ ვალეში თავისი სასწავლებელი ჰქონია, სადაც სოფლის ახალგაზრდა ქალები დაიარებოდნენ როგორც ქართველები, ისე მაჰმადიანები სასწავლებლად როგორც წერა-კითხვის, ისე ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვისა, რისთვისაც მასწავლებელ ქალს მარიამს დიდათ პატივს სცემდნენ ხოლმე საწუთრო სანოვაგებით და ძღვენებითა.“

ვალეში არსებული საოჯახო სკოლისათვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მარიამი ასწავლიდა როგორც ქართველ (მართლმადიდებელ და კათოლიკე), ისე მაჰმადიან გოგონებს. იმ პერიოდში, ვალეში, ქართველობა სარწმუნოებრივად სამ ნაწილად იყო გათიშული. ამდენად, მისი სკოლა არა მარტო საგანმანათლებლო მისიას ასრულებდა, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურსაც. ხელს უწყობდა ეროვნული ნიშნის ქვეშ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე გოგონების გაერთიანებას, მათში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას.


მიხეილ ვარძელაშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სოფელ უდეში, საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა **_ანა თომას ასული ბალახაშვილი_** – ამ სოფელში სკოლის გახსნამდეც (1882წ.) და შემდგომ პერიოდშიც, – ათწლეულების მანძილზე, უფასოდ ემსახურებოდა გოგონების აღზრდის საქმეს. წერა-კითხვასთან ერთად ხელსაქმეს ასწავლიდა. ამდენად, ის იყო ე.წ. „ოსტატი“ – სოფელ უდის ერთ-ერთი პირველი განმანათლებელი. ანა ბალახაშვილი 1919 წელს, 75 წლის ასაკში, თანასოფლელებთან ერთად, სასტიკი წამებით მოკლეს იქ შეჭრილმა თურქებმა.

XIX საუკუნის II ნახევარში, საქართველოში, და შესაბამისად სამცხე-ჯავახეთში განათლების სფეროში მნიშვნელოვნად შეიცვალა მდგომარეობა, რაც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, საქართველოში, რადიკალურად შეიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფორმა – უშუალოდ ბრძოლის ველიდან პირდაპირ კულტურისა და განათლების სფეროში გადაინაცვლა. ამ ბრძოლის მესვეური – ქართველი ინტელიგენცია დარწმუნდა იმაში, რომ XIX საუკუნის I ნახევრის განმავლობაში, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით, ქართველ ხალხში შეირყა და თანდათანობით დაქვეითების გზას დაადგა ეროვნული ცნობიერება. აქედან გამომდინარე, უპირველეს ამოცანად იქცა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება, რაც ხალხის განათლებისა და ქართული კულტურის დაწინაურების გზით უნდა მომხდარიყო. სწორედ ამიტომ, ამ მისიის განსახორციელებლად, ქართველმა ინტელიგენციამ დაიწყო საქველმოქმედო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სახალხო-დაწყებითი სკოლების დაფუძნება იყო.

დასასრული შემდეგ ნომერში

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აცხადებს ღია კონკურსს

ა. ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ბიზნესის მართვის და ეკონომიკის კათედრაზე
1 სრული პროფესორი

ბ. სამართლის ფაკულტეტი
საჯარო სამართლის კათედრაზე
1 სრული პროფესორი;
1 ასოცირებული პროფესორი

გ. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე
1 ასოცირებული პროფესორი.

საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 25 მარტიდან 2011 წლის 11 აპრილის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 13 მაისს, კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2011 წლის 18 მაისს.
დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gttu.edu.ge ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 66 15 12; 24 65 91

C M Y K

# აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

## სამცხე–ჯავახეთის რეგიონში ერთადერთი აკრედიტებული
# ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### 2011-2012 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

1) **განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,** სპეციალობებით: **ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ისტორია, დაწყებითი განათლება.**

**დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა** სტუდენტს სთავაზობს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგის სპეციალობასთან ერთად, გაძლიერებულად შეისწავლოს ***უცხო ენა*** (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) *30 კრედიტის ფარგლებში,* რაც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ საფეხურზე, გარდა ძირითადი დისციპლინებისა – მათემატიკა, ქართული ენა, ბუნებისმეტყველება – უცხო ენაც ასწავლოს.

**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე** მისაღები კონტინგენტი **300 ადგილითაა** განსაზღვრული. სწავლის საფასური შეადგენს **1750 ლარს**. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აბიტურიენტებს, სამი სავალდებულო საგნის გარდა – ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ზოგადი უნარები – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მეოთხე სავალდებულო არჩევით დისციპლინად სთავაზობს შემდეგ საგნებს: ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა.

2) **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი,** სპეციალობებით: **ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი.** მისაღები კონტინგენტი – **300 ადგილი;** სწავლის საფასური – **2000 ლარი**. აღნიშნულ ფაკულტეტზე აბიტურიენტებს, სამი სავალდებულო საგნის გარდა (ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა), მეოთხე არჩევით საგნად შეუძლიათ ჩააბარონ მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია ან ლიტერატურა.

***საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფს:***

- ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ;
- თანამედროვე ბიზნესის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კონცეფციების ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევებს;
- საზოგადოებრივ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუციური ფორმირების საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის ჩვევებს;
- მიწისა და უძრავი ქონების მართვისა და ადმინისტრირების პრინციპების სამართლებრივად მართვის უნარ-ჩვევებს;
- ადმინისტრაციული მართვის თანამედროვე უახლეს მეთოდების გაცნობას; სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე სტუდენტების ადაპტაციას; სპეციალისტების მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად მომზადებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის საქმის ცოდნასა და ამ საქმეში ინოვაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და სხვ.

***დასაქმების სფერო მრავალფეროვანია:*** საჯარო რეესტრის უძრავი ქონების რეგისტრაციის სამსახური, საბანკო და საკრედიტო დაწესებულებები, ადგილობრივი და მუნიციპალური საჯარო სამსახურის სისტემა, კერძო ბიზნესის საკონსულტაციო სამსახური, სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურები, ინფრასტრუქტურის საწარმოები, საწარმოო ორგანიზაციები, სააღრიცხვო, საგადასახადო, საკონტროლო-სარევიზიო, აუდიტორული საქმიანობის სფეროები და სხვ.

2007 წლიდან ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ***„საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის „კავკასია" ახალციხის ოფისი,*** სადაც ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტებს ბიზნესის განვითარების ტრენინგების გავლის და სტუდენტურ საკონსულტაციო პროექტებში ჩართვის საშუალება ეძლევათ, რაც მათ დასაქმებას უწყობს ხელს.

3) **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,** შემდეგი სპეციალობებით: **მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, აგროტექნოლოგია, ზოოტექნია, ეკოლოგია.** მისაღები კონტინგენტი – **140 ადგილი**; სწავლის საფასური – **1500 ლარი**. ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სავალდებულო საგნების გარდა (ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა), აბიტურიენტს ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო არჩევითი დისციპლინებიდან ერთ-ერთს – მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ისტორია, ლიტერატურა ან ქიმია.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ***„საუნივერსიტეტო სკოლა" აბიტურიენტთათვის,*** სადაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, კვირაში ორჯერ, ნებისმიერ აბიტურიენტს, სრულიად უსასყიდლოდ, უტარებენ გაკვეთილებს მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო დისციპლინებსა და ზოგად უნარებში. ფაკულტეტის სპეციალობები რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებითაა შერჩეული და დასაქმებაზეა ორიენტირებული. არაერთი კურსდამთავრებული წარმატებით დასაქმდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, ასევე, მათი ნაწილი სერიოზულ კვლევებს აწარმოებს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებით, ყველა ფაკულტეტზე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ***სწავლის ქირა გადაიხადონ სასწავლო წლის განმავლობაში ოთხ ნაწილად*** (სემესტრში ორჯერადი გადახდით). უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი, მაღალაკადემიური მოსწრების სტუდენტების სწავლის საფასურის დაფარვას უნივერსიტეტში არსებული საქველმოქმედო ფონდის საშუალებით.

უნივერსიტეტი, ასევე, სთავაზობს სტუდენტებს minor (მეორე სპეციალობა) პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით, რაც, ძირითადი აკადემიური პროგრამის ვადის ფარგლებში (4 წელი), მეორადი სპეციალობის და დასაქმების არეალის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. მე-3 სემესტრიდან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მინორ პროგრამები შემდეგ მიმართულებებში: ისტორია; პედაგოგიკა; ჟურნალისტიკა; ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა; ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა; ხის, ქვის, ლითონისა და სხვა მასალების ნაწარმი; ტანსაცმლის დიზაინი და მხატვრული ქსოვილი.

პედაგოგიკის მინორ პროგრამის გავლა სტუდენტს, დამატებით, მეორე სპეციალობის – **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელი** – დაუფლების შესაძლებლობას მისცემს.

მასწავლებლის პროფესიით დაინტერესებულ ნებისმიერი პირისათვის ფუნქციონირებს მასწავლებლის მომზადების პროგრამა (60 კრედიტის ფარგლებში). აღნიშნული პროგრამის გავლის შემთხვევაში, მსურველი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლად (სკოლის სამივე საფეხურზე) დასაქმდება.

***უნივერსიტეტში მოქმედებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები.***



2010 წელს აკრედიტაცია გაიარა კიდევ ერთმა პროგრამამ – **„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენა-განხორციელება სწავლების პროცესში"** (სწავლება და შეფასება, ახალი მიდგომები სწავლებაში; მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თავი III). პროგრამა დაეხმარება მსმენელებს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებაში.

### ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს მიღება

***ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე არაქართველენოვანთათვის*** (74 ადგილი თანაბრადაა გადანაწილებული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისათვის). ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, ერთი წლის განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდებიან და პროგრამის დასრულების შემდეგ, შესაძლებლობა ექნებათ, სწავლა გააგრძელონ ნებისმიერი ფაკულტეტის სასურველ სპეციალობაზე.

### უნივერსიტეტში მომზადებულია მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამები

***აბიტურიენტებს, რომლებიც მხოლოდ ზოგად უნარებში ჩააბარებენ გამოცდას, შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლა გააგრძელონ შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე:*** ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება; დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები; ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება; კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი; კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი; ბუღალტრული აღრიცხვა; სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი; გარემოს დაცვის ტექნიკოსი; ინტერნეტტექნოლოგიები (ვებსპეციალისტი). სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

***გარდა ამისა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მომავალ სტუდენტებს მრავალ სიახლეს სთავაზობს:***

- მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და სტაჟირება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში;
- სამეცნიერო კონფერენციები – სტუდენტებს პირველი კურსიდანვე უყალიბდებათ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო თემაზე მუშაობის უნარ-ჩვევები. რაც მათ საშუალებას მისცემს მომავალში სამეცნიერო საქმიანობისაკენ გაიკვლიონ გზა;
- მსოფლიო უნივერსიტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკების ელექტრონული წიგნებით სარგებლობა.

ახალი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესის მართვის პროგრამის ამოქმედება იგეგმება, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ სტუდენტს, ინტერნეტის დახმარებით, შინიდან გაუსვლელად, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების მოსამზადებელი ცენტრი. სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ მითთვის სასურველი ენის კურსები, ასევე, კომპიუტერული პროგრამები და მიიღონ შესაბამისი დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატი.

სწავლის დონის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტში იქმნება საგამოცდო ცენტრი, რომელიც სემესტრული გამოცდების კომპიუტერული სისტემით ჩაბარებას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ორივე სასწავლო კორპუსი აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

### გარდა სასწავლო პროცესებისა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აქტიური სტუდენტური ცხოვრება მიმდინარეობს

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის სექციები, ჭადრაკის წრე. ამ სექციებში გაწევრიანებული სტუდენტები, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
- ხმის ჩამწერ სტუდიაში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ჟანრის საესტრადო სიმღერების ჩაწერა, ყოველწლიურად იწერება სტუდენტების მიერ შესრულებული საესტრადო სიმღერების დისკი.
- უნივერსიტეტის ხალხური ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის წევრები არაერთხელ წარდგნენ წარმატებით საერთაშორისო ფესტივალებზე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.
- ხშირად ეწყობა შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებები.

**უნივერსიტეტი სტუდენტებს საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფს** – მალე ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ექნება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. გაშენდება სტუდენტური ქალაქი, რომელსაც თავად სტუდენტები მართავენ. ეს კი, სწავლის პარალელურად, მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

**ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი კიდევ ბევრ სიახლესა და სიურპრიზს სთავაზობს აბიტურიენტებს, რომლებიც აქ ჩააბარებენ.**

**გისურვებთ წარმატებებს!**

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.akhaltsikhe.edu.ge; contact@akhaltsikhe.edu.ge;**
**ტელეფონი: 8265 2 19 90; 877 897725; 877 98 77 29; 877 71 15 82**

## კონკურსი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულმა რესპუბლიკურმა კონკურსმა – „საუკეთესო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ – გამოავლინა I, II და III ხარისხის ნამუშევრები:

I – **ფაქიზო ფანჩულიძე** – წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა – აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი თავგადასავალი“;

II – **ცირა მეზვრიშვილი-მანიჟაშვილი** – ჟანდრის საჯარო სკოლა – მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები: „მიწის ყივილი“, „ქართველი ემიგრანტები“;

III – **მერი ბეჟანიძე** – ქობულეთის №2 საჯარო სკოლა, არაქართულენოვანი სექტორი – აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“.

საპრიზო ადგილებზე გასული პედაგოგები დაჯილდოვდნენ: I – 500 ლარით; II – 300 ლარით; III – 200 ლარით.

რედაქციამ გადაწყვიტა შემოგთავაზოთ გამარჯვებული პედაგოგების მიერ ჩატარებული გაკვეთილების ნიმუშები. დღევანდელ ნომერში გაგაცნობთ ფაქიზო ფანჩულიძის მიერ ჩატარებულ შემაჯამებელ გაკვეთილს მწერლის სახლ-მუზეუმში, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში – აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“.

### გაკვეთილის გეგმა

**გაკვეთილის თემა** – აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (ნაწ.1), შემაჯამებელი გაკვეთილი მწერლის სახლ-მუზეუმში, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში.

**სწავლების საფეხური და კლასი** – დაწყებითი საფეხური, V კლასი.

**ინტეგრირებული საგნები** – ქართული ლიტერატურა, ისტორია, მუსიკა.

**მასწავლებლის სახელი, გვარი** – ფაქიზო ფანჩულიძე, ფიქრია გიორხელიძე, რუსუდან გრიგოლავა.

**მოსწავლეთა რაოდენობა** – 21 მოსწავლე.

**განსაკუთრებული მიდგომების, საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა** – კლასში არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, არც სასწავლო პროგრამას ჩამორჩენილი, არც წინმსწრები, თუმცა 14 მოსწავლე განსაკუთრებულად ბეჯითია.

**გაკვეთილის სასწავლო მიზნები და შედეგები (საგნების მიხედვით)** – კლასი შემაჯამებელი გაკვეთილისათვის დაყოფილია ჯგუფებად, თითო ჯგუფში 7 მოსწავლეა.

**აქტივობა I – პრეზენტაცია**

**ჯგუფის სახელწოდების, მხატვრული ლექსის**

**მიზანი:** აკაკი წერეთლის პოეტური მემკვიდრეობის საფუძვლიანად გაცნობა-შესწავლა, ლექსის მხატვრულად წაკითხვა და იდეურ-მხატვრული ანალიზი. პოეტური ლექსიკისა და რითმის სახეების გაცნობა.

**შედეგი:** აკაკი წერეთლის ლირიკული შედევრების დასწავლა, ინტონაციურად წაკითხვა, პოეტური ლექსიკისა და რითმის სახეების შესწავლა.

**აქტივობა II – *ინფორმაციის მოძიება***

***წინასწარ მოცემულ თემაზე***

(XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ-კულტურული მიმოხილვა)

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება-შეგროვება.

**შედეგი:** მასწავლებლის მიერ მითითებული ისტორიული სახელმძღვანელოების წაკითხვა, მათი ანალიზი, დასკვნის გამოტანა.

**აქტივობა III – *როლური თამაში***

თითოეული ჯგუფი აკ. წერეთლის ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „ჩემი თავგადასავალი“ (ნაწ. I) წარმოადგენს ინსცენირებას ან სახიერად გააცოცხლებს თხზულების მოქმედ პერსონაჟებს.

**მიზანი:** აკაკი წერეთლის თხზულების „ჩემი თავგადასავალი“ (ნაწ. I) საფუძვლიანი შესწავლა; გამართული, სწორი მეტყველების განვითარება, მიმიკის, ჟესტების გამოყენებით პერსონაჟთა სახეების გაცოცხლება.

**შედეგი:** აკაკი წერეთლის თხზულების „ჩემი თავგადასავალი“ (ნაწ. I) საფუძვლიანი გაცნობა-დასწავლა, პერსონაჟთა სახეების ღრმაშინაარსობრივი დატვირთვით წარმოდგენა.

**აქტივობა IV – *სიმღერის შესრულება***

**მიზანი:** აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილი სიმღერების გაცნობა-შესწავლა.

**შედეგი:** აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილი სიმღერების მოსწავლეთა მიერ აუდიტორიის წინაშე შესრულება, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მოსწავლეთა მუსიკალური კუთხით დაინტერესება.

**ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები – ინდიკატორები**

### ქართული ლიტერატურა

**I მიმართულება – ზეპირმეტყველება**

- მხატვრული ტექსტის აგება.
- მთავარი პერსონაჟის დამახასიათებელ თვისებებზე ყურადღების გამახვილება.
- თხრობისას პირველ პირში მონათხრობის მესამე პირში გადაყვანა.
- ლექსის წაკითხვისას თუ სახიური როლის შესრულებისას ნაწარმოებში ასახული განწყობილების ინტონაციებით გამოხატვა, მეტყველების ტემპის, ტემბრის ცვლა.
- მეტყველებაში აქტიური ლექსიკის, ძირითადი ენობრივი მახასიათებლებისა და პოეტური ფორმების მართებული გაგება-გამოყენება.

### ისტორია

**II მიმართულება – ადამიანი და საზოგადოება**

- წარსულის რომელიმე საზოგადოების ან სოციალური ფენის წარმომადგენლის ყოველდღიური ცხოვრების დახასიათება.

**III მიმართულება – დრო და სივრცე**

- ვრცელი ინფორმაციის მოძიება და მოკლედ გადმოცემის უნარის გამომუშავება.
- ფაქტების დროსთან დაკავშირების უნარის გამომუშავება.

### მუსიკა

**IV მიმართულება – პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და იდეების გამოხატვა**

- მუსიკალური ფრაზების, მელოდიების სიმღერით შესრულება.
- მრავალხმიანი სიმღერის მარტო ან სხვებთან შეთანხმებულად შესრულება.

**თანმიმდევრობა**

აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული თხზულების „ჩემი თავგადასავალი“ (I ნაწ.) შესწავლას V კლასში, ეთმობა 10 აკადემიური საათი. ბოლო – მე-10 გაკვეთილი შემაჯამებელია.

გადავწყვიტე, შემაჯამებელი გაკვეთილი თავად მწერლის სახლში ჩამეტარებინა, რადგან ეს იქნებოდა სასწავლო რესურსებიდან ყველაზე შთამბეჭდავი, მოსწავლეთათვის მარად დაუვიწყარი.

ამ თემაზე მიმდინარე გაკვეთილების მსვლელობისას მოსწავლეები გავანაწილე 3 ჯგუფად. მათ წინასწარ ჰქონდათ მიცემული დავალებები რამდენიმე კუთხით:

- შეერჩიათ ჯგუფის სახელწოდება აკაკისავე შემოქმედებიდან და მოემზადებინათ რომელიმე ლირიკული შედევრი გამომეტყველებითი კითხვით;
- მოეძიათ მასალები მე-19 საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრებიდან. მივუთითე სახელმძღვანელოები ისტორიის მასწავლებელთან შეთანხმებით;
- წარმოედგინათ და სახიერად გაეცოცხლებინათ თხზულების რომელიმე პერსონაჟი;
- აკაკის ტექსტზე უამრავი სიმღერა შეიქმნა. თითოეულ ჯგუფს მუსიკის გაკვეთილებზე (მუსიკის მასწავლებლის დახმარებით) უნდა შეესწავლა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. ყოველივე ეს წარმოედგინათ აკაკისავე სახლ-მუზეუმში, მწერლის სახლში შემაჯამებელი გაკვეთილის სახით, რაც ჩვენი მხრიდან იქნებოდა მოკრძალებული პატივის მიგება აკაკი წერეთლისადმი და დასტური იმისა, რომ მწერლის ქმნილება „ჩემი თავგადასავალი“ „არ დაკარგულა“, „არ დავიწყებულა“, „არ გაოხრებულა“.

გაკვეთილი დავიწყე შესავალი სიტყვით. წინასწარ განსაზღვრულ 2 წუთში აღვნიშნე: „ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს პოეზიის მადლით ცხებულს. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს, ამას იკითხავს: რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო? ღირსებას და სიდიადეს ერისა მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ასეა, ცხადი უნდა იყოს, რა ძვიფასია დღევანდელი დღე ჩვენთვის, როცა დიდი მგოსნის მშობლიურ ეზო-გარემოში ვიმყოფებით.

ჩვენ წელს საფუძვლიანად გავეცანით აკაკის 1894-1899 წლებში დაწერილ ავტობიოგრაფიულ-მემუარული ჟანრის თხზულებას „ჩემი თავგადასავალი“ (I ნაწ.), რომელსაც მწერალი ცენტრალურ ადგილს აკუთვნებს თავის შემოქმედებაში.“

ბავშვებს ვთხოვ, გაიხსენონ რას წერს აკაკი თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“ იმ სასახლის შესახებ, სადაც გაკვეთილს ვატარებთ.

ისინი მპასუხობენ:

– აკაკი წერეთელი თხზულებაში წერს, რომ დაიბადა „1840 წლის 9 ივნისს განთიადისას, საჩხერის რ-ნის, სოფ. სხვიტორში. სწორედ ამ სოფელში მდ. ჩიხურის პირას, მაღლობზე დგას ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე – დარბაზისა და სისქე – ციხისა“.

**გადავდივარ I აქტივობაზე – პრეზენტაცია**

როგორც ვიცით, კლასის 21 მოსწავლე 3 ჯგუფადაა დაყოფილი.

თითოეულ ჯგუფს უნდა შეერჩია ჯგუფის სახელწოდება აკაკის შემოქმედებიდან და განემარტა, რატომ დაირქვეს აღნიშნული სახელი.

აქვე, თითოეულ ჯგუფს უნდა წარმოედგინა მხატვრული ლექსი, აკაკის პოეტური მემკვიდრეობიდან.

I ჯგუფის სახელწოდება – *„ჩანგური“*. ჯგუფის მოსწავლეები განმარტავენ, რომ ეს სახელწოდება აკაკის 1871 წელს დაწერილი ლექსის მიხედვით შეარჩიეს. „ჩანგური“ მათ ერის მთლიანობის და პოეზიის სიმბოლოდ მიიჩნიეს. ჯგუფმა აუდიტორიის წინაშე მხატვრულად წარმოადგინა აკაკი წერეთლის ლექსი „ჩანგური“.

II ჯგუფის სახელწოდება – *„სულიკო“*. ჯგუფის სახელწოდება მათ განმარტეს 1895 წელს დაწერილი ლექსის – „სულიკოს“ მიხედვით. „სულიკოს“ ძიება XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში დაკარგული ღმერთის ძიებად აღიქვეს. ჯგუფმა მხატვრულად წარმოადგინა 1894 წელს დაწერილი ლექსი „ხატის წინ“.

III ჯგუფის სახელწოდება – *„განთიადი“*. მოსწავლეებმა განმარტეს, რომ აკაკიმ ასე უწოდა ლექსს, რომელიც სტავროპოლში მუხანათურად მოკლული დიდი საზოგადო მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას უძღვნა. მათ მხატვრულად წაიკითხეს 1892 წელს დაწერილი ლექსი „განთიადი“.

ამ აქტივობისათვის ჯგუფებს დათმობილი ჰქონდა 3-3 წუთი, სულ – 9 წუთი.

**გადავდივარ II აქტივობაზე – ინფორმაციის მოძიება**

ჯგუფებს ვთხოვ, მომაწოდონ ინფორმაცია XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ-კულტურულ ყოფაზე.

ამ აქტივობას ვუთმობ 6 წუთს, თითო ჯგუფს – 2-2 წუთს პასუხისათვის. მათ (ისტორიის მასწავლებლის დახმარებით) მოძიებული აქვთ ინფორმაცია და მპასუხობენ, რომ XIX საუკუნის II ნახევარი უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ყოფისა, პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით. 1864 წელს გადავარდა ბატონყმობა საქართველოში. რეფორმის შემდგომ პერიოდში გამწვავდა ურთიერთობა, ერთი მხრივ, გლეხობასა და მემამულეებს შორის და, მეორე მხრივ, გლეხობასა და ბურჟუაზიულ ელემენტებს შორის. ეს კლასობრივი შეტაკება ხშირად შეიარაღებულ აჯანყებამდე მიდიოდა. ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან „თერგდალეულები“. მათ ეს სახელი ეწოდათ იმის გამო, რომ სწავლის მისაღებად გამგზავრებულთ მდინარე თერგი უნდა გაეარათ. აკაკი „თერგდალეულთა“ ბელადთან – ილიასთან ერთად ამკვიდრებს რეალისტურ მწერლობას, იბრძვის ლიტერატურის ხალხურობისათვის, რაც ძირითადად ხელმისაწვდომი და გასაგები იქნებოდა ყველასათვის. „თერგდალეულები“ იბრძოდნენ გლეხების მიწიანად გათავისუფლებისათვის. აკაკი თავის თხზულებაში ყველაზე ტკბილად სწორედ ამ ფენას – გლეხობას იხსენებს და ამბობს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი... გლეხის ოჯახი საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ.“

ძველად ქართველ ფეოდალებს ჩვეულება ჰქონდათ – შვილებს ძიძას აზრდევინებდნენ: „ძიძაობა და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში. მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულონი იყვნენ. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო. ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდების ხალხს და მათ სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არა თუ ძიძიშვილები და მათი ახლობლები, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის“. მოსწავლეები საუბრობენ ილიასა და აკაკის მეგობრობაზე. აღნიშავენ, რომ აკაკი ილიასთან ერთად წინამძღვარი და მოძღვარი იყო ქართველებისა, რომ მათ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთად, პირნათლად ზიდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლის საპატიო და მძიმე ტვირთი. ამიტომაც განიცადა აკაკიმ ასე მტკივნეულად ილიას გარდაცვალება და უკვდავი ლექსიც მიუძღვნა მას.

**გადავდივარ III აქტივობაზე – როლურ თამაშზე**

თითოეულ ჯგუფს ეთმობა 5-5 წუთი, სულ – 15 წთ.

ჯგუფი *„განთიადი“* აცოცხლებს საკუთრივ აკაკის პიროვნებას, რომელიც ქართულ ჩოხაშია გამოწყობილი. ხაზგასმით საუბრობენ მის ბავშვობაზე, გიმნაზიაში სწავლასა თუ სტუდენტობის წლებზე. აკაკის სადიპლომო ნამუშევარზე – „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ“, აკაკის მოგზაურობაზე რაჭა-ლეჩხუმში, აკაკის გარდაცვალებაზე.

ჯგუფი *„სულიკო“* სახიერად (ფორმებში) აცოცხლებს აკაკის დედ-მამასა და და-ძმას. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აკაკის დედა – ეკატერინე სოლომონ I-ის ასულის – დარეჯანის შვილიშვილი იყო, ყოფილა მხნე, გამრჯე, შრომისმოყვარე, მწიგნობარი, კარგი აღმზრდელი. მას სასახლეში მრისხანეს სახელი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა მისი ყველას ეშინოდა, სინამდვილეში კი მეტად გულჩვილი იყო. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც ვინმე სასახლეში ავად გახდებოდა, დღედაღამ მოსვენება არ ჰქონდა, პირადული ავიწყდებოდა.

## კონკურსი

მამა – როსტომ წერეთელი ცნობილი მებატონე, თავისი დროის პირობაზე საკმაოდ განათლებული, მჭევრმეტყველი, სულ სხვა ზნის და მიმართულების კაცი იყო. საოჯახო საქმეებისათვის თავს არ იწუხებდა. მეურნეობის მართვა- გამგეობაში თითქოს სულ არ მონაწილეობდა.

დამ – ანამ ასწავლა წერა-კითხვა აკაკის. ძმა – დავითი ქართულ გრენადერთა პოლკში მსახურობდა, იასონი კი – პეტერბურგში, იმპერატორის მხლებელ ჯარში. ყველაზე უმცროსი მავრა იყო, რომელიც ადრე გარდაიცვალა. თბილი ოჯახი ჰქონიათ წერეთლებს.

ჯგუფი *„ჩანგური“* აკაკის ძიძის – მანო სადუნაშვილის სახეს აცოცხლებს. მოსწავლეები ხაზგასმით საუბრობენ ფარსადან ყანჩაველის შეუდარებელ მეუღლეზე.

სავანეში აიდგა ფეხი აკაკიმ. იგი იხსენებს: „საწერეთლოში, ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია... მათ რიცხვში ურევია სავანეც. ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი... აქ ავიდგი ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობა“. 5-6 წლის აკაკიმ კარგად იცოდა პირუტყვის და ფრინველის მოვლა. შესწავლილი ჰქონდა, როდის და როგორ უნდოდა: ხვნა, მკა, თესვა...

ეს ჯგუფი ინსცენირების სახით წარმოადგენს აკაკის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩენილ თამაშს **„ქორობია“**, რომელიც შემოქმედს საქართველოს ისტორიულ ბედს ახსენებდა. საქართველო კრუხი იყო, მისი კუთხეები კი წიწილები. ერთხელ, **„ქორობიას“** თამაშისას აკაკი ქორმა წაიყვანა. პატარამ ტირილით აუწყა ძიძას ეს ამბავი. ბავშვის დაწყნარების ნაცვლად ძიძამ ტირილი დაიწყო, რადგან მეორე დღეს მას მის „წიწილას ტაცებდნენ“ – თავადს პატარა აკაკი სასახლეში უნდა წაეყვანა (ბავშვები ამ ინსცენირებას სხვიტორში იმ ოთახში ატარებდნენ, სადაც აკაკის აკვანი დგას, რომელიც სავანელმა გლეხებმა იუბილეზე გადასცეს მგოსანს).

ინსცენირების წარმოდგენის შემდეგ მოსწავლეებს მადლობას ვუხდი.

### გადავდივარ IV აქტივობაზე – სიმღერის შესრულება

ჯგუფებს ამ აქტივობისათვის დათმობილი აქვს 3-3 წუთი, სულ – 9 წუთი.

თითოეული ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქურ ფოლკლორს. მასში ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება: აღმოსავლური და დასავლური. სწორედ დასავლური შტოს ზეგავლენით გაჩნდა ისეთი სიმღერები, როგორიცაა: „ციცინათელა“, „ჩანგური“, „სულიკო“ და სხვ.

ჯგუფმა *„განთიადი“* შეასრულა სიმღერა *„ციცინათელა“*.

ჯგუფმა *„სულიკო“* შეასრულა ვარინკა წერეთლის მიერ, აკაკის ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომელსაც დამსწრე საზოგადოება და აუდიტორიაც აჰყვა.

ჯგუფმა *„ჩანგური“* შეასრულა სიმღერა *„ჩონგურს სიმები გავუბი“*, რომელიც აკაკის ცნობილ ლექსზე „ნათელას სიმღერაზეა“ შექმნილი.

გაკვეთილის დასასრულს ჯგუფებს მადლობას ვუხდი და წინასწარ გამზადებული რუბრიკა/შეფასების მიხედვით ვაფასებ მოსწავლეებს ჯგუფურად და ინდივიდუალურად. შეფასებას 2 წუთს ვუთმობ და შემდეგ ვამბობ შემაჯამებელ სიტყვას, რომელსაც ასევე ვუთმობ 2 წუთს.

აღვნიშნავ, რომ წყალტუბოს I საჯარო სკოლის V-კლასელები შეეცადნენ:

- მიახლებოდნენ აკაკის შემოქმედებას;
- გაეხსენებინათ აკაკის ბიოგრაფიული დეტალები;
- როლური გათამაშებით გაეცოცხლებინათ XIX საუკუნის მღელვარე ეპოქა, თხზულების პერსონაჟები;
- წარმოეჩინათ აკაკის პოეზია;
- შეესრულებინათ აკაკის ლექსებზე შექმნილი უკვდავი სიმღერები.

აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი თავგადასავალი“ საინტერესოა, როგორც მისივე შემოქმედების გასაღები.

„ჩემი თავგადასავალი“ აკაკის უსაყვარლესი თხზულება იყო. იგი მარტოოდენ ავტობიოგრაფია როდი გახლავთ მწერლისა, გაშლილი ქრონიკაა საქართველოს მე-19 საუკუნის ცხოვრებისა, რომელშიც იმ ეპოქის მაჯისცემა იგრძნობა.

### შეფასება

- ვაფასებ ჯგუფებს ყოველი აქტივობის მიხედვით, შეფასებისას ხაზს ვუსვამ ჯგუფში თანამშრომლობის წესების დაცვას.
- იმ ჯგუფს ვაძლევ მაღალ შეფასებას, რომლის ყველა წევრიც აქტიურად მონაწილეობდა შემაჯამებელი გაკვეთილის მსვლელობაში.
- ჯგუფური შეფასებისას, პარალელურად, ვავსებ (წინასწარ ვატმანზე გამზადებულ და გამოკრულ) შეფასების ცხრილს და ვავლენ საუკეთესო ჯგუფს.
- მოსწავლეებს ინდივიდუალურადაც ვაფასებ და ამით გამოვარჩევ ჯგუფებში საუკეთესოს.

### საკლასო მენეჯმენტი, საგანმანათლებლო რესურსები

- აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ინტერიერი, ფოტოსურათები;
- ქართული ნაციონალური ტანისამოსი და ფორმები სახიური როლებისთვის;
- თაბახის ფურცლები, მარკერები.

***ინფორმაციის წყაროები:***

- *მშობლიური ლიტერატურა, V კლასი; გ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. ხუციშვილი;*
- *აკაკი წერეთლის ლექსები, მოთხრობები;*
- *ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა;*
- *ჩვენი სამშობლოს მატიანე, V კლასი; ბ. კუდავა, რ. მეტრეველი;*
- *საბავშვო ისტორია, III ნაწილი; თ. წოწონავა;*
- *ხალხური მუსიკა, VI კლასი; მ. ბერაძე, ნ. შველიძე;*
- *ქართული მუსიკა, V კლასი; მ. ბერაძე, ნ. შველიძე.*

*გამოვიყენე ქართული მხატვრული ფილმის „აკაკის აკვანი“ ჩანაწერი.*

## გამოცდილება

# კვლევა–ძიებითი გაკვეთილი ქართულ ლიტერატურაში

**გაკვეთილის თემა** – უდაბნო და გრიგოლ ხანძთელი

გიორგი მერჩულე, „ცხოვრებაი წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაი“

**გაკვეთილის მიზანი** – მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება

**საკვლევი თემა** – ტაო-კლარჯეთის უდაბნოდან საქართველოს მომავლისაკენ

**გაკვეთილისთვის მზადება**

მოსწავლეებმა საფუძვლიანად შეისწავლეს გიორგი მერჩულეს „ცხოვრებაი წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაი“. მოიძიეს დამატებითი სააზროვნო მასალა, დაამუშავეს თემები: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ისტორიული ფონი; კაცი ზეცისა და ქუეყანისა ანგელოზი; ეროვნული მთლიანობის იდეა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

**გამოყენებული ლიტერატურა**

- „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“ – გია მურღულია, გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე;
- „ცხოვრების“ ისტორიული ფონი – მარიამ ლორთქიფანიძე;
- „გიორგი მერჩულეს სახისმეტყველება“ – რევაზ სირაძე.

მოიპოვეს თვალსაჩინო მასალა, ფოტოები – ხანძთა, ოშკი, ზარზმა, უბისა, იშხანი, ბერთა, წყაროსთავი, შატბერდი.

**ზეპირად ისწავლეს:**

- ადგილები გიორგი მერჩულეს თხზულებიდან;
- ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის გამონათქვამები „ცხოვრების“ შესახებ.

**მოსწავლეებს დაესვათ სააზროვნო კითხვები:**

1. როგორია ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს?
2. რა უნდა ეღონა ქართველობას არაბთა ბატონობის ხანაში თავისი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად?
3. რა გზით უნდა განხორციელებულიყო „ახალი ქართლის“ შექმნის იდეა?
4. რით დაიწყო გრიგოლ ხანძთელმა დიდი სამომავლო მიზნის განხორციელება?
5. მერჩულეს თხზულებაში ნათქვამია, რომ გრიგოლი „უდაბნოდ“ გაემართა. რა იგულისხმება გამოთქმაში „უდაბნო“?
6. რა იყო უმთავრესი გრიგოლის უდაბნოში ყოფნისა?
7. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გრიგოლს სამონასტრო მშენებლობისას შემწედ გაუხდებიან აშოტ კურაპალატის ოჯახის წევრები და დიდებული აზნაური გაბრიელ დაფანჩული?
8. რატომ აშენებენ წმინდა მამები ხანძთაში ეკლესიას წმინდა გიორგის სახელზე?
9. გრიგოლ ხანძთელი – საქართველოს მომავლის მშენებელი.

**მიღებული პასუხები**

1. მერვე საუკუნის შუახანებში არაბთა სახალიფოს ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს დაპყრობით დასრულდა. ქართლში მეფობა მოიშალა და არაბთა ბატონობა დამყარდა. დაპყრობილი ქვეყანა ამირას უზენაეს ხელისუფლებას დაექვემდებარა. ქართლის ერისმთავარი ნერსე სამი წელი საპყრობილეში ჰყავდა ხალიფა მანსურს. საპყრობილედან გათავისუფლებული ნერსე პატივით დააბრუნეს ქართლში, მაგრამ მისი ანტიარაბული საქმიანობის გამო ერისმთავარი ისევ ბაღდადში დაიბარეს. ამჯერად ნერსე ერისთავი ქართლიდან ჩრდილო კავკასიაში გადაიხვეწა, არაბების მტრებთან, ხაზარებთან წავიდა. ქართლმა დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა, ხოლო მთელმა საქართველომ – პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი. დამარცხებული, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ქართველი ხალხი ღვთის იმედად იყო შთენილი.

2. მომავალი ეროვნული კატასტროფა მოახლოებული იყო. სწორედ ამ დროს გაისმა იოანე საბანისძის შეშფოთებული ხმა: „აღვერიენით ერსა უცხოსა“, დავივიწყეთო „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი.“

უნდა შექმნილიყო ქართლის ნაცვალი იმგვარი ცენტრი, რომელიც ქვეყანას ქართლის მაგივრობას გაწევდა. მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლელი მოღვაწეები მიდიან ტაო-კლარჯეთში, ვითარცა აღთქმულ ქვეყანაში, რათა იქიდან მოიპოვონ კვლავ თავიანთი სამშობლო – ქართლი და საქართველო. აშოტ ბაგრატიონი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წავიდა, არტანუჯის ციხე შეაკეთა და სამეფო რეზიდენციად აქცია. იმჟამად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლებოდა, ხალიფას ძალმომრეობა აღზევებული იყო და ქართველები მასთან ვერაფერს გახდებოდნენ. რევაზ სირაძის თქმით, „მაშინ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდება ეროვნულ ღალატს ნიშნავდა, თუმცა ეს არ გულისხმობდა არაბებისადმი სამუდამო მორჩილების შეგუებას. ძველთაძველი სწავლებით, არის ჟამი ბრძოლისა, ჟამი უკანდახევისა, ჟამი არდავიწყებისა „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა.“

3. ქართველთა წინაშე იდგა ჟამი მშენებლობისა!

ტაო-კლარჯეთში „ახალი-ქართლის“ შექმნის ეროვნული მისიის განხორციელება ითავა ქართლის მკვიდრმა, ნერსე ერისთავის ოჯახში აღზრდილმა გრიგოლმა, რომელიც ნერსეს ცოლის ძმისწული იყო. შემთხვევითი არ არის გრიგოლის მიერ ეპისკოპოსობაზე უარის თქმა და ნათესავთაგან ფარულად ქართლიდან ტაო-კლარჯეთის დაუსახლებელ უდაბნოში წასვლა, „რაითა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი“. უდაბნოდ ქცეული ტაო-კლარჯეთი უნდა განაშენიანდეს, გაბრწყინდეს და „ახალ ქართლად“ იქცეს. ამ კეთილი განზრახვის შესასრულებლად გრიგოლს მხარში ამოუდგნენ: საბა იშხნელი, იშხნის მეორედ მაშენებელი, თეოდორე ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე კვირიკეთის მაშენებელი. ისინი „სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს“, მაგრამ არ იყო უცნობი ამ გზის მიზანი. გრიგოლ ხანძთელისათვის ეს იყო „გზაი ახალი და ცხოველ.“

4. ეს კუთხე უნდა გამხდარიყო ქართლის ნაცვალი, მაგრამ უნდა დაწყებულიყო და წარმართულიყო ისე, რომ არაბები ვერ მიმხვდარიყვნენ ამ მოძრაობის არსს. ნერსე ერისთავსაც და გრიგოლსაც, რომლებისგანაც ერთობლივად უნდა შემუშავებულიყო გრიგოლის სამოღვაწეო გეგმა, კარგად ესმოდათ, რომ სიახლენი შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ საეკლესიო გზით. გრიგოლი მოწაფეებითურთ თავდაპირველად ოპიზას მივიდა, ამბა გიორგისთან, დაემკვიდრნენ იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ეკლესიაში; თითქოს გრიგოლიც ფიქრობდა განდეგილობას. აქ გატარებული ორი წელი სულიერი გამოცდის წლები იყო. ამის შემდეგ იწყება ხანძთის შენება და არსებითად ეს იყო დიადი გზის დასაწყისი.

5. უდაბნო და გრიგოლი – ესაა მთავარი თემა მერჩულეს თხზულებისა. „უდაბნოა“ ადგილი, საიდანაც ახალ ვითარებაში გადასვლა უნდა მოხდეს. ესაა საქართველოს მომავალი, რომლისკენაცაა მიმართული ტაო-კლარჯეთის ძმობის მოღვაწეობა. უდაბნო მოუწესრიგებელი გარემოა. გრიგოლს იგი უქცევია „ქალაქად“, ქალაქად ქცევა უდაბნოში წესრიგის შეტანაა, უდაბნოსთვის სახის მიცემაა. სწორედ ეს განახორციელა კლარჯეთის უდაბნოში გრიგოლ ხანძთელმა, მან მისცა ამ მხარეს ახალი სახე; გრიგოლი გახდა „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“, „ვარსკვლავი უდაბნოთა“.

6. გრიგოლ ხანძთელი, ტაო-კლარჯეთის უდაბნოში მოღვაწეობით, მანამდე უღვთოდ შთენილ მხარეს ღვთის წიაღში აბრუნებს, „რაითა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალეი ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა“. რევაზ სირაძის თქმით, გრიგოლი ქართველების მოსეა, იგი მიუძღვის ერს უდაბნოში, უნდა იშვას ძლევამოსილი თაობა, რომელიც გააერთიანებს და „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვით“ ატარებს საქართველოს.

7. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით, დიდი ეროვნული მშენებლობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში. არ უნდა გამჟღავნებულიყო, რომ საერთო-ეროვნულ საქმეთა მოთავენი კურაპალატები იყვნენ, ამას არაბები არ დაუშვებდნენ, ამიტომ გრიგოლი მათგან ითხოვდა, რომ ყოფილიყვნენ, როგორც მხოლოდ ეკლესიათა მშენებლობაში დამხმარენი. ასე გაერთიანდა „ერი და ბერი“ ტყვედპყრობილი სამშობლოს გასათავისუფლებლად.

8. საგულისხმოა, რომ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიით დაიწყო გრიგოლმა სამონასტრო მშენებლობა ტაო-კლარჯეთში. წმინდა გიორგი იყო წმინდა მხედარი, მახვილით მებრძოლი, მან „მრავალთ ჟამთაგან უშჯულოთაგან ზარგანხდილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმხნე ძლიერი“. აი, რა უნდა ესწავლებინა წმინდა გიორგის მაგალითს ქართველთათვის, რომლებიც ურჯულო არაბთაგან ზარდაცემულნი იყვნენ „მრავალთა ჟამთაგან“. სწორედ ძლევამოსილ კაბადოკიელ მხედარს მიიჩნევდა გრიგოლი თავის წინამძღვრად და მფარველად.

9. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობა საბოლოო გამარჯვებისკენ იყო მიმართული. მას სწამდა, რომ მხოლოდ გონივრულად და არა თავგანწირულად მოქნეულ ხმალს ჰქონდა ძალა. მან ფიზიკურად ძლიერ მტერს მაღალი სულიერება და მოწამეობრივი შრომა დაუპირისპირა. გრიგოლმა გაუკაცრიელებული ტაო-კლარჯეთის სამონასტრო აღმშენებლობით იწყო დიდი საქართველოს მშენებლობა.

განავითარა მწიგნობრობა, გაამდიდრა ქართული კულტურა და ერის სულიერი წინამძღოლი გახდა. ვასილ მაღლაფერიძის თქმით, გრიგოლის სახით ქვეყანას მოევლინა ქართული გონიერების, ნებისყოფისა და პატიოსნების სისავსე, რომელმაც ერს გადარჩენის იმედი და რწმენა შთაუნერგა.

გრიგოლ ხანძთელი საქართველოს ერთიანობისათვის ისეთივე დაუცხრომელი მებრძოლია, როგორც დავით აღმაშენებელი. გრიგოლმა ჩადგა ის საფუძველი, რაზედაც შემდეგ „მესიის მახვილმა“ სვებედნიერი საქართველო ააშენა.

***ნუნუ ზარნაძე***
*ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი*

ფიქრები განათლებაზე

# ალზრდა – გზა წესრიგისკენ, ანუ ფიქრი მიშელ მონტენთან ერთად



გია მურღულია
ფილოლოგიის დოქტორი,
თბილისის №24 საჯარო
სკოლის დირექტორი

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმა ტარდება. ეს ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა – საზოგადოების ზნეობრივ და ინტელექტუალურ, საზოგადოდ, კულტურულ სახეს ხომ სწორედ სკოლა განსაზღვრავს.

რეფორმას უამრავი დიდი თუ მცირე ასპექტი აქვს. მათ შორის უარსებითესია აღზრდის საკითხი, რაც უშუალო კავშირშია სწავლებასთან.

დღეს, ჩემი აზრით, არა მხოლოდ განათლების სისტემის, არამედ მთელი საზოგადოების მწვავე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სკოლას, კარგად არ აქვს გააზრებული აღზრდის ფუნქცია. არ არსებობს აღზრდის სახელმწიფოებრივი დოქტრინა, ხოლო ასეთ ვითარებაში ზოგადი მსჯელობები (ვთქვათ, ასეთი ტიპისა: ჩვენ ქრისტიანულ ან ლიბერალურ ღირებულებებზე უნდა აღვზარდოთ ბავშვები) და ცალკეულ რიგიან პედაგოგთა მცდელობები საქმეს არ შველის.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ შექმნის კვალდაკვალ დღევანდელი პედაგოგიური მეცნიერების უპირველესი ამოცანაა აღზრდის კონცეფციის შემუშავება. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, ვის ვზრდით, როგორ ვზრდით, რა ამოცანების გადასაწყვეტად ვზრდით, რა საშუალებებითა და ტექნოლოგიებით ვზრდით, რა გარემოში ვზრდით და ა.შ.

სახელმწიფო სრულიად განსაზღვრულ და მიზანმიმართულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს ამ სფეროში. სხვაგვარად წარმოუდგენელია ერის ზნეობრივი კვლავწარმოება, რის გარეშეც ქვეყანას კულტურული მომავალი არა აქვს.

როდესაც ამ საკითხზე ვფიქრობთ, აუცილებელია, გავითვალისწინოთ წარსულის გამოცდილება – მომავალი კიდევ უფრო მეტად არის გაჟღენთილი წარსულით, ვიდრე ეს მასობრივ ცნობიერებას წარმოუდგენია.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დიდი ფრანგი მოაზროვნის მიშელ ეიკემ დე მონტენის (1533-1592) პედაგოგიურ შეხედულებებს, რაც დღესაც აქტუალურია.

თეზისურად შევეხები რამდენიმე პრობლემურ საკითხს.

პირველი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ კეთილი ზნეობა აღემატება „შიშველ“ მეცნიერებას.

ცოდნა, გარკვეული აზრით, მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. ზნეობა მოზარდის აღზრდისას უპირველესი ორიენტაციაა. თუ ცოდნა არასწორად არის ორიენტირებული და გამოყენებული, ის ბოროტების სამსახურში დგება და, როგორც ინდივიდისთვის, ისე საზოგადოებისთვის დაბრკოლებად იქცევა.

ხშირად მიზნად სახავენ უმიზნო პროგრესს, რასაც სხვა არაფერი განსაზღვრავს, გარდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა. მაგრამ რა არის „პროგრესი“? ამ ურთულესი საკითხის განხილვას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას: თუ პროგრესს ზნეობრივი სიმაღლეც არ ახლავს (რის შენარჩუნებაზე და ახალი იმპულსებით „გამოკვებაზე“ კაცობრიობა მუდმივად უნდა ზრუნავდეს), ეს იმას ნიშნავს, „რომ ადამიანი უზნეო ცოდნით“ ე.ი. არასწორად ორიენტირებული „განათლებით“, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცუდი უსასრულობისკენ“ მიდის.

1750 წელს დიჟონის აკადემიამ გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით – „ხელს უწყობდა თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება ზნეობრივ სრულყოფას“? გაიმარჯვა ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც წარმოდგენილ ნაშრომში ასეთი დასკვნა გააკეთა: რაც უფრო ვითარდება კაცობრიობა, მით უფრო კლებულობს ზნეობა, რაც ადამიანებს კატასტროფით ემუქრება. მანვე მოძებნა „გამოსავალიც“ – უარი უნდა ვთქვათ ცივილურ ცხოვრებაზე. დავუბრუნდეთ ბუნებას და მასთან ჰარმონიაში გავაგრძელოთ არსებობა.

ეს ახალგაზრდა კაცი იყო ჟანჟაკ რუსო.

მას შემდეგ 260 წელიწადი გავიდა და დიდად არ შევცოდავთ ჭეშმარიტების წინაშე, თუ ვიტყვით, რომ კაცობრიობა უკეთესი არ გამხდარა. ცოდნა კოლოსალურად გაიზარდა, ხოლო ზნეობა...

მონტენი პირდაპირ ამას გულისხმობდა თავის ნაშრომში – „დიდი ფიზიკოსი ან მათემატიკოსი არ „უდრის“ დიდ ადამიანს, მიზანი კი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს.

ეს აზრი ჩვენთვის, ბუნებრივია, არც ახალია და არც უცხო. ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა განაცხადა ავთანდილის პირით:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს
ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
მით ვისწავლებით, მოგვეცეს
შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“;

ე.ი. თუ ისე არ ვიცხოვრებთ, როგორც სწავლულთა, ბრძენთა ნაწერებში ამოგვიკითხავს ან გვისწავლია, რაღად გვინდა მიღებული ცოდნა? განა შეიძლება ის თვითმიზანი იყოს? იმიტომ ვსწავლობთ, რომ „ზესთ მწყობრთა წყობას“, ანუ ღვთისგან დადგენილ და დალოცვილ ზეციურ წესრიგს შევუერთდეთ, მასში ჩავერთოთო. ამ აზრით, ცოდნა მხოლოდ იარაღია ადამიანის ხელში, რათა მან ოდენ მისთვის დადგენილი ადგილი გააცნობიეროს და მოძებნოს სამყაროს წესრიგში, დაინახოს და შეასრულოს თავისი ფუნქცია.

მონტენი ფიქრობს, რომ მთავარია ბავშვში გაღვივდეს „კეთილშობილი ინტერესი“, ანუ შემეცნების წყურვილი. ის უნდა აღიზარდოს იმ შეგნებით, რომ ყველა და ყველაფერი რაღაცას გვასწავლის – სამყარო „გველაპარაკება“ მილიარდობით დეტალით, ელემენტით, მაგრამ არსებითი ის არის, რომ „ნაწილის“ ხედვისას „მთელი“ არ დაიკარგოს თვალსაწიერიდან, კოსმოსის მრავალფეროვნებაში ადამიანი ჰარმონიას ჭვრეტდეს და არა ქაოსს, გრძნობდეს პასუხისმგებლობას ღვთიური წესრიგის წინაშე.

ამ გზაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოზარდისთვის მსჯელობის, ფიქრის სწავლება, რაც ორიენტირებულია ახალგაზრდა კაცში ზნეობრივი წესრიგის, გრძნობათა წესრიგის წარმოქმნაზე. სიტყვა „კოსმოსი“ ბერძნულად წესრიგს ნიშნავს. სამყაროს, ღვთის შემოქმედების შედეგი – სწორედ წესრიგით აცნაურებს თავის ღვთაებრივ ჩამომავლობას. კოსმოსის „დიდ წესრიგს“ მისი ელემენტების მოწესრიგებულობა (მიკროწესრიგი) და ამ წესრიგთა ურთიერთმიმართება ქმნის, ხოლო ადამიანში, ვითარცა ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ არსებაში, ყველაზე მეტად ჩანს და ცნაურდება სამყაროს კოსმოსური კანონზომიერებანი.

ამ თვალსაზრისით, პედაგოგი, მასწავლებელი დიდებულ ღვთიურ და კაცობრიულ საქმეს ემსახურება – ბიოლოგიურად არსებულ სიცოცხლეს ზნეობრივ და ინტელექტუალურ წესრიგად აქცევს. სწორედ ამ განზომილებაში იქცევა ადამიანი პიროვნებად. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მონტენი ასკვნის, რომ მეცნიერებათა აქცენტირება სწავლა-აღზრდის პროცესში უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოზარდის სულში სააღმზრდელო სისტემის წყალობით აინთება კეთილი საწყისი – ცოდნას მხოლოდ ზნეობასთან ერთად აქვს აზრი (რა ხშირად მოიხსენებენ ახლა ამას „ინოვაციად“!).

მონტენის მეორე არსებითი პრინციპი საკუთრივ სწავლებას ეხება. მისი აზრით, მთავარია არა „ინფორმაციული იერიში“ მოზარდის გონებაზე, მისი ცნობიერების ფაქტოლოგიური ცოდნით „დატენვა“, არამედ ცოდნის შეძენის სტიმულირება, მისი მიზნობრივი შერჩევის, მოპოვების და გამოყენების უნარების გამომუშავება. „დაე, თქვენმა მოწაფემ იმდენად პასუხები კი არ ისწავლოს გაკვეთილებზე, რამდენადაც ამ პასუხების ცხოვრებაში გამოყენება“, – წერს მონტენი.

ადამიანის ცოდნაც და მისი მიღებაც წესრიგთან წილნაყარი უნდა იყოს. მონტენი ეთანხმება სოკრატეს, რომელიც ამბობდა, რომ უნდა შევისწავლოთ მხოლოდ უცილობლად სასარგებლო და არა ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება (ცხადია, „სასარგებლოს“ გარჩევის უნარიც უნდა „ჩაიდოს“ მოსწავლეში). მაშასადამე, მონტენი რეალური და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიზანმიმართული ცოდნის მომხრეა. რასაც ის გვეუბნება, ჩვენი თანამედროვის სათქმელიც არის აუცილებლად: ბევრი რამ, რასაც გვასწავლიან ან ვასწავლით, არასდროს დასჭირდება კაცს ცხოვრებაშიო. აქ ჩვენ ვხვდებით ოპტიმალური სწავლების პრინციპს. დღევანდელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ლაპარაკია საგანმანათლებლო სტანდარტებზე, რომლებიც გარდა ინდივიდუალურად მოსააზრებელისა თუ სასურველისა, აუცილებელია, საზოგადოებრივად და სახელმწიფოებრივადაც შეთანხმებული და განსაზღვრული იყოს. განათლება არ შეიძლება „უგზო-უკვლო“ იყოს. მართალია, მისი „ზედა ზღვარი“ არ არსებობს, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ყველა პროფესიულ მიზანს თავისი შესაბამისი განათლების დონე (ოდენობა და ხარისხი) განსაზღვრავს.

დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია სწავლებისა და აღზრდის ინდივიდუალიზაცია. ეს საკითხი მონტენის დროსაც კარგად იყო გაცნობიერებული. კოლექტიური სწავლების პრინციპი, ცხადია, მარადიულია და უარსაყოფი არ არის (რადგან ცოდნის საზოგადოებრივი ხასიათის და „გონებრივი კონტაქტის“ აუცილებლობა შემეცნების პროცესში სრულიად აშკარაა), მაგრამ ინდივიდუალური მიდგომა, პიროვნული თავისებურებების, ინტერესების, ნიჭიერებისა და უნარ-ჩვევების, ადამიანის ფსიქოლოგიური რაგვარობის გათვალისწინება ასევე საჭიროა. დღეს მსოფლიოში ასობით ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ცენტრი არსებობს, რომელთა მიზანია თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების შემუშავება და აპრობაცია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პერსონაზე ორიენტაციისათვის. უნდა ასწავლო კონკრეტულ პირს და არა (მხოლოდ) აბსტრაქტულ სუბიექტს.

მ. მონტენი საგანგებოდ ეხება ამ პრობლემას და საკითხს ასე აყენებს: სწავლებისა და აღზრდის პროცესში, გარდა გარეგანი ფაქტორებისა, ორი მთავარი მონაწილეა – მასწავლებელი და მოსწავლე. რომელია უფრო აქტიური? ერთი შეხედვით, ამას კითხვაც არ უნდა – ცხადია, მასწავლებელი, რომელიც ერთგვარი „ხიდია“ კაცობრიობის მიერ დაგროვებულ ცოდნასა და ამ ცოდნის მიმღებს შორის. აქ არის ლოგიკა, მაგრამ ჯოხს მეორე ბოლოც აქვს – თავისთავად ცოდნა კი არ არის მთავარი, არამედ – „ცოდნა ადამიანში“, პიროვნებაში.

ცოდნა განსაზღვრავს ადამიანს თუ ადამიანი ცოდნას?

ნუთუ მარტო ცოდნაა მდგრადი კაცში და თავად კაცი არანაირად არ მოქმედებს ცოდნაზე?

ცხადია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ორმხრივი ზემოქმედებაა, მაგრამ მონტენს სურს აქცენტირებულად გვითხრას – მსაზღვრელი მაინც ადამიანია, საზღვრული კი ცოდნა (კიდევ ერთხელ ვიტყვი: ცხადია, – გარკვეული უტრირებით).

ცოდნამ არ უნდა „დაჩაგროს“ ადამიანი, არ უნდა „აღემატებოდეს“ მას, – არამედ მხოლოდ „გახსნას“ და დახვეწოს მისი პიროვნული გამოვლინებები, მისი პოტენცია.

ამიტომაც იხსენებს ნაშრომის ავტორი სოკრატეს და შემდგომ არქელაოსსაც, რომლებიც ჯერ თავიანთ მოსწავლეებს ალაპარაკებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ერთვებოდნენ თავად საუბარში. ამით ისინი ნათლად გამოხატავდნენ აზრს, რომ მხოლოდ ეხმარებიან მოსწავლეს შემეცნების ინდივიდუალურ პროცესში და არა განსაზღვრავენ ამ პროცესს.

მასწავლებელმა თავისი ავტორიტეტით არ უნდა „მოკლას“ მოწაფე. ჭეშმარიტი პედაგოგი „კვდება“ მოსწავლეში. აღსაზრდელის „შემეცნებითი თავისუფლება“ არ უნდა შეიბღალოს აღმზრდელის დიქტატით. მონტენი იხსენებს ციცერონის სიტყვებს: „რაიმეს შესწავლის მსურველებს ყველაზე ხშირად მათი ავტორიტეტი უშლის ხელს, ვინც ასწავლის“.

მონტენი ფიქრობს, რომ აღსაზრდელებს უნდა ვასწავლოთ ავტორიტეტის ღირსეული და არა ბრმა პატივისცემა. დაუშვებელია ინტელექტუალური თუ ზნეობრივი „მონობა“.

სამყაროში არაფერია უფუნქციო, ყველა ადამიანიც გარკვეული დანიშნულებითა და შესაძლებლობით იბადება. იდეალურია ის შემთხვევა, როდესაც პიროვნება თავის დანიშნულებას ზუსტად აცნობიერებს და ემზადება მხოლოდ მისთვის განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად. ნამდვილი მოძღვარიც სწორედ ის არის, ვინც აღსაზრდელს ამ ამოცანის არსს მოააზრებინებს და შესაბამისად შეაიარაღებს ინტელექტითა და ზნეობით მის გადასაწყვეტად.

აქ ცოდნის გადაცემისა თუ ზნეობრივი აღზრდის ფორმის საკითხი დგება. მხოლოდ მონოლოგი სწავლებისა და აღზრდის დასამარებაა. მონოლოგი თავისი არსით (კეთილი განზრახვის შემთხვევაშიც კი) დიქტატორულია. ის საპირისპირო აზრს ნაკლებად ან სულაც არ ითვალისწინებს. როდესაც ავტორიტეტი მსჯელობს, თავის აზრს გადმოსცემს, მოზარდში (განსაკუთრებით) იბადება ამგვარი ფიქრის ერთადერთობისა და უეჭველი ჭეშმარიტების განცდა. როდესაც ახალგაზრდა კაცი, მით უმეტეს ბავშვი, ხშირად, ზოგჯერ კი ყოველდღე, უსმენს ავტორიტეტს, მას უყალიბდება აზრი, რომ მისი მასწავლებელი ყოველთვის სწორია. მონოლოგი თავისთავად შეიცავს ამ საშიშროებას. ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი) განათლების სისტემის უდიდესი ხარვეზია ის, რომ სწავლებაცა და აღზრდაც (მცირე გამონაკლისით) არსებითად მონოლოგურია. ყველა სახელმძღვანელო მონოლოგის პრინციპზეა აგებული: „ეს ეს არის, ხოლო ის კი ისეთია“. მორჩა და დამთავრდა.

ეს „მორჩა და დამთავრდა“ განათლების სიკვდილია!

მონტენი იხსენებს: მე ვიცნობდი ერთ კაცს პიზადან, რომელიც ისე აღმერთებდა არისტოტელეს, რომ ყველა მისი აზრი ან სიტყვა უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მიაჩნდა – ყველაფერი ამისგან განსხვავებული ქიმერა და ამაოებააო.

ჩვენი ავტორის აზრით, დაეჭვების უნარი ისეთივე ძვირფასია, როგორც ცოდნისა და რწმენისა – მხოლოდ ბრიყვებს შეუძლიათ ურყევად იყვნენ დაჯერებული რაიმეშიო. შემდეგ დანტესაც იხსენებს: „დაეჭვება არანაკლებ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე ცოდნა“ (ოღონდ ერთი პედაგოგიური სიმართლეც უნდა გვქონდეს მხედველობაში – დაეჭვება კარგია ძიების გზაზე; თუ „მუდმივი ეჭვი“ გაბატონდა შემეცნების პროცესში, აღმოჩენისა და რაღაცის ნამდვილად გაცნობიერების განცდა და რწმენა თუ არ დაიბადა, ეს შემეცნებითი ტანჯვა უფრო იქნება, ვიდრე სიხარული ან სიამოვნება).

მონტენი აგრძელებს: „ვინც მონურად მიჰყვება სხვას, ის არავის არ მიჰყვება, ვერაფერს პოულობს და არც ეძიებს“. მისი აზრით, მთავარი ძველ მოაზროვნეთა სულისკვეთებით გამსჭვალვაა და არა მხოლოდ მათი მოძღვრების დაზეპირება. საშიში არ არის, თუ დაგავიწყდა, სად და ვისთან ამოგიკითხავს ესა თუ ის ღირებული აზრი ან შეხედულება, მთავარია გაითავისო ისინი.

„ჭეშმარიტება და გონების არგუმენტები ყველას ეკუთვნის და არა მხოლოდ მას, ვინც ისინი გამოთქვა“, – წერს მონტენი.

ასევე არსებითია მონტენის აზრი იმის შესახებ, რომ მთავარია არა მხოლოდ მეხსიერება, არამედ არსების აღქმისა და გაგების უნარი, სწორედ ამიტომ უპრიანია ერთი და იგივე მოვლენა თუ საგანი მასწავლებელმა სხვადასხვა კუთხით დაანახვოს მოწაფეს (დიდი პედაგოგი ა. დისტერვეგიც ამას ამბობდა: „უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ერთი და იგივე საგნის განხილვას ათი სხვადასხვა მხრიდან, ვიდრე ათი სხვადასხვა საგნის სწავლებას ცალმხრივ. ცოდნის რაოდენობაში კი არ არის განათლება, არამედ ყოველივე იმის სრულ გაგებასა და ოსტატურ გამოყენებაში, რაც იცი“; – ვფიქრობ, ეს მოსაზრება კარგად უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სპეციალისტებმა, რომლებიც თანამედროვე სკოლისთვის სასწავლო გეგმისა და პროგრამების, განათლების სახელმწიფო სტანდარტების შექმნაზე მუშაობენ).

ახლა ზემოთქმულს დავუბრუნდეთ – აუცილებელია გარდა მონოლოგურისა (რიგ შემთხვევაში),

## ფიქრები განათლებაზე

სწავლება და აღზრდა დიალოგური იყოს. ანტიკურ სამყაროს, ისევე, როგორც შუასაუკუნეებს, კარგად ესმოდა, რომ თავისი არსითა და პათოსით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი დიალოგურია. დიალოგი მეტად ასწავლის განსჯასა და ფიქრს, მოწაფის ღირსეულ ჩაბმას თავისივე განათლების პროცესში, ვიდრე მონოლოგი (ცხადია, ვითვალისწინებ იმასაც, რომ „დიალოგური მონოლოგიც“ არსებობს, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს თავისი „ფუნქციური ტერიტორია“ აქვს).

დიალოგი გაცილებით მეტად იძლევა ფიქრის პერსონიფიცირების საშუალებას, ვიდრე მონოლოგი. დიალოგში ფიქრი, მსჯელობა „ცოცხალია“, დინამიურია და თავისუფალიც კია მონოლოგთან შედარებით – არ სუნთქავს „მონოლოგური ერთადერთობით“, გნებავთ, – „მითვისებული პასუხისმგებლობით“.

გარკვეული პირობითობით თუ ვიტყვით, მონოლოგი „სიბრტყეა“, დიალოგი – „სფერო“. ფიქრი, მსჯელობა, აღზრდა, ისევე როგორც მთელი სამყარო, არ შეიძლება ერთ სიბრტყემდე დავიყვანოთ – სკოლა მხოლოდ „ერთი ფანჯრიდან“ არ უნდა უმზერდეს სინამდვილეს ან თუნდაც იმას, რაც სინამდვილის მიღმა დგას.

მ. მონტენი საგანგებოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოზარდისთვის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მომაკვდინებელია გაფეტიშებული, დაშტამპული, „უზენაესი ავტორიით“ აღჭურვილი აზრის გადაცემა. ამიტომაც აღნიშნავს სწავლული, რომ მასწავლებელმა მოწაფეს უნდა ასწავლოს ყველაფერი ღირებული, რაც შეეხება ამა თუ იმ საკითხს (ცხადია, აქ უნდა ვიგულისხმოთ სხვადასხვა საგანმანათლებლო დონის საზღვრებიც), მოსწავლემ კი შეაჯეროს და აირჩიოს, თავისი გონებისა და გულის სიტოში გაატაროს, რასაც სწავლობს, უკრიტიკოდ და გაუცნობიერებლად არაფერი მიიღოს. (ახლა ამას „კრიტიკულ აზროვნებას“ უწოდებენ).

მაშასადამე, ფაქტის აღქმა და მისი გაცნობიერება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულფასოვან ცოდნას, მთავარია მოზარდს, საზოგადოდ პიროვნებას, ჰქონდეს მისი ინტერპრეტაციისა და სისტემური ხედვის უნარი (სკოლის უპირველესი ამოცანათაგანია ამ უნარის დაბადება და განვითარება მოზარდში).

ამის შემდეგ მონტენი ეხება ერთ საკითხს, რომელიც დღემდე ძალიან აქტუალურია, თუმცა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში არასაკმარისად აქცენტირებული – ახალგაზრდას ცოდნის ეკონომიური ხარჯვა უნდა ვასწავლოთ!

ამ მომენტს ორი არსებითი მხარე აქვს: ჯერ ერთი, როგორც მონტენი ამბობს, მოზარდს უნდა ვასწავლოთ, ტყუილად არ გაისარჯოს და იკამათოს მისი თანდასწრებით ნათქვამ სისულელეზე ან ფუჭ გამონაგონზე, ეპაექროს მხოლოდ ღირსეულ პიროვნებას თუ აზრს, მეორეც, სანაქებოა მხოლოდ ოპტიმალური მსჯელობა – უნდა თქვა ის და იმდენი, რაც საკმარისია აზრის დასასაბუთებლად. მონტენი ასე ასწავლის: კამათისას გამოიყენე მხოლოდ არსებითი არგუმენტები და არა ყველა ის, რაც თავში მოგივა. აქ მას დამოწმებული ჰყავს პლატონი, რომელიც ამბობდა: „ათენელები, უპირატესად, თავიანთი მეტყველების სიმდიდრესა და მოხდენილობაზე ზრუნავენ, ლაკედემონელები – მის სიმოკლეზე, კრეტას მცხოვრებნი კი უმეტესად – აზრთა სიუხვეზე, ვიდრე თავად ენაზე – სწორედ ისინი იქცევიან ყველაზე მართებულად“.

მონტენი ერთგვარი ირონიით ამბობს ამის თაობაზე: „სამყარო ძალიან ყბედია. ჯერ არ შემხვედრია კაცი, რომელიც უფრო მეტს არ ლაპარაკობს, ვიდრე საჭიროა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცხოვრების ნახევარი ლაპარაკში გადის; და შემდეგ ამატებს: „მე მსურს მსმენელის წარმოსახვა საგნებმა შეავსოს და არა სიტყვებმა“.

მონტენის პედაგოგიურ შეხედულებებზე მსჯელობა ცალმხრივი იქნება, თუ არ გავიხსენებთ, რა საგანგებო ყურადღებას აქცევდა ის მოზარდში ნებისყოფის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

ზნეობრიობის საკითხი ყველაზე არსებითად სწორედ ნებისყოფას უკავშირდება. ცოდვას ნაზიარები ათი კაციდან ცხრამ მაინც იცის, რომ ცოდვას სჩადის, მაგრამ არ ან ვერ ჩერდება, არ ძალუძს გაუბატონდეს თავის სურვილებს და თავად იქცევა მათ მონად. ნებისყოფა ამგვარ მონობას გამორიცხავს. მონტენის აზრით, ბავშვს უნდა შეეძლოს ყველაფრის კეთება (აღმზრდელებმა მას არ უნდა დაუმალონ არაფერი, დაანახვონ სამყარო, როგორიც ის არის თავის ყოველმხრივ გამოვლინებებში), მაგრამ აკეთოს მხოლოდ კარგი. ის იხსენებს სენეკას ნათქვამს: დიდი განსხვავებაა იმაში – არ შეგიძლია თუ არ გსურს, რაღაც ჩაიდინო. სიქველე, კეთილშობილება და ზნეობა იწყება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც შეგიძლია ცოდვა ჩაიდინო, მაგრამ არ აკეთებ ამას (სამწუხაროდ, ნათლად იკვეთება, რომ ბევრი ადამიანი ამა თუ იმ მიზნითა თუ მოსაზრებით ჩაიდენდა დანაშაულს, ბოროტებას, ამის ძალა რომ შესწევდეს – როდესაც არ შეგიძლია გააკეთო, კეთილშობილებას ნუ დაიბრალებ, – ამბობს მონტენი).

მონტენი გვირჩევს – ასწავლეთ ბავშვებს სიცოცხლის ფილოსოფიური ხედვა. საოცარია, – ამბობს ის, – მაგრამ ჩვენს საუკუნეში მოაზროვნე ადამიანებისთვისაც კი ფილოსოფია ცარიელი სიტყვაა, რომელიც არსებითად არაფერს გამოხატავს. ის არაფერში გამოიყენება და არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ვინმეს თვალში ან რაიმე საქმეში. ვფიქრობ, ამის მიზეზია დაუსრულებელი კამათი, რომელშიც ის ჩაეფლო. ღრმად ცდებიან ისინი, ვინც ფილოსოფიას ბავშვებისთვის მიუწვდომლად მიიჩნევენ... მოწესრიგებულობასა და არა ძალას – აი, რას ითხოვს ჩვენგან ფილოსოფია... შეჩერდით ფილოსოფიის უმარტივეს დებულებებზე, მოახერხეთ რიგიანად შეარჩიოთ და განმარტოთ ისინი: მათი შეცნობა ხომ გაცილებით ადვილია, ვიდრე ბოკაჩოს ნოველისა და დედის ძუძუს მოშორებული ბალღი მის აღსაქმელად უფრო მეტად არის მზად, ვიდრე კითხვისა და წერის ხელოვნებისთვის.

ასევე (და იმავე კონტექსტში) წინა პლანზე სწევს მონტენი ისტორიის რიგიანი სწავლების აუცილებლობასაც. ბავშვს უნდა ვასწავლოთ არა იმდენად ისტორიული ფაქტები, რამდენადაც გუნვუვითაროთ მათზე მსჯელობის უნარი.

ეს ბუნებრივიცაა – ისტორია ძალიან ნათლად მოააზრებინებს ახალგაზრდას იმას, რომ კაცობრიობის (ისევე როგორც ცალკეული ადამიანის) არსებობას თავისი დიდი და ღრმა აზრი აქვს, რომ ცხოვრება, საზოგადოების განვითარება უმიზნო არ არის. ისტორია აცნაურებს ადამიანთა საყოველთაო ბედს. ჩვენ ყველანი ისტორიაში ერთნი ვართ. ისტორიის სწავლებისას შესაძლებელია დაიბადოს თანაზიარობის, დროისა და ამ დროში განხორციელებული კაცობრიული ქმედების, ერთიანობის განცდა და მასში მონაწილეობის შეგნება – არ არსებობს განათლების უფრო მაღალი მიზანი, სწორედ მისი მიღწევა ბადებს ადამიანურ ზნესრულობას.

დიდებულად ბრძანა ამის შესახებ დავით გურამიშვილმა:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო“.

მარტო ადამიანი კი არ არის ჩართული ისტორიაში, ისტორიაც სრულად ჩართულია ადამიანში! დრო განუყოფელია, ისევე, როგორც საერთო ადამიანური მიზანი. მოზარდმა კარგად უნდა გააცნობიეროს ვინ არის, ანუ საიდან მოდის, ამჟამად სად იმყოფება და საით მიდის (ეს უნდა მოიაზროს სამსახოვნად – როგორც ინდივიდმა, კონკრეტულმა კაცმა, როგორც ერისშვილმა და როგორც, საზოგადოდ, ადამიანმაც). დანარჩენს ყველაფერს არა მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემაში, არამედ საერთოდ, ცხოვრებაშიც ეს სძენს აზრს. დღევანდელ ჩვენს პედაგოგებს განსაკუთრებით მართებთ ამ საკითხზე დაფიქრება.

მონტენის მომდევნო აზრს მე პირადად პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებ: დღეს, როდესაც ლამისაა ნამდვილ პედაგოგიურ ჭეშმარიტებად მიიჩნიონ მასწავლებლისა და მოსწავლის შეამხანაგება და „გათანაბრება“, თავისი არსითა და პათოსით ყალბი და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამანგრეველი (შედეგები ნათლად გამოკვეთილი გვაქვს!), ძალიან აქტუალურად ჟღერს სწავლულის შემდეგი სიტყვები: ბავშვი მკაცრი ლმობიერებით უნდა გაიზარდოსო. სიმკაცრე, სამართლიანობა არა თუ გამორიცხავს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს აღსაზრდელის სიყვარულს – სამწუხაროა, რომ დღეს საკმაოდ ბევრი პედაგოგისა და მოსწავლის ღირსეული ურთიერთობების ათასწლოვან გამოცდილებას რევიზორის თვალით უყურებენ და ბავშვის პიროვნების დაფასების გაყალბებული არგუმენტით „ათანამედროვებენ“ მას.

„ვინ ვინ არის“ – სკოლაშიც ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი.

მასწავლებელი მცირედ მაინც მოძღვარია თავისი არსებით. თუ პედაგოგი მოსწავლეზე „მეტი“ არ არის, მაშინ მოსწავლეა პედაგოგზე „მეტი“ (თანაბრობა აქ გამორიცხულია), რაც თავად სკოლის უმთავრესი აზრის უარყოფაა. მე, დღეს, სასწავლებლებში ბავშვებზე ზრუნვის მოტივით მათივე „გაბატონების“ დიდ საშიშროებას ვხედავ – ეს პროცესი კარგა ხანია დაწყებულია და უკვე ვიმკით ცუდ შედეგებს. სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუკი არსებობს ნამდვილი მასწავლებელი – მოძღვარი. ღირსეული განათლების მიღება ურთულესი პროცესია და სანამ შემეცნებისა და შექმნის სიხარულს განიცდიდეს, შრომა სიამოვნებას მიანიჭებდეს, ადამიანს სწავლის „მწარე ძირის“ გავლა მოუწევს. მოზარდი უნდა აცნობიერებდეს ამას და გრძნობდეს შესაბამის პასუხისმგებლობას.

მონტენისთვის უეჭველია, რომ ახალგაზრდა თაობა სახელმწიფოს ერთგულად უნდა იზრდებოდეს, მაგრამ ერთგულება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ მოვალეობას და არა პიროვნებათა ბრმა თაყვანისცემას.

ემსახურო ოდენ კაცს – პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელია.

ემსახურო ქვეყანას – ბედნიერებაა.

ვფიქრობ, ყველაფერი, რაც ითქვა, უსათუოდ გამოადგება ყველას, ვინც ჩვენი ბავშვების ღირსეულ მოქალაქეებად და მამულიშვილებად აღზრდაზე ფიქრობს.

ადამიანები მიდიან, იდეები რჩება.

## ნააზრევი

# მინდა ვწერო

რას წარმოადგენს სურვილი? მიდრეკილება ახლისაკენ. იგი ყოველთვის უკეთესისაკენ არის მიმართული.

სიტყვის კეთილშობილებავ, ეხლა მჭირდები შენ. ღვთაებრივო მუზავ, მომანიჭე შენი მოწყალება. აზრის სინათლეზე მომაფრქვიე შენი სხივები.

მე მსურს შევასრულო უდიდესი საქმე.

ამ სინამდვილეში მრავალი ნივთი ხოტბას და ქებას საჭიროებს. ეს ხოტბის შესხმა, როგორც თვით ნივთი, ნაწილია სამყაროს მთლიანობისა და ამდენად აუცილებელნი არიან. მე მსურს შევეხო გრძნობას დიდებულს, გრძნობის იდეას ნამდვილად ქცეულს. სწერო დიდებულზე ბიწიერად სიმახინჯეა. ლამაზს ვერ შეაფასებს მახინჯი სული. პოეზიის სახედ შენ დამეხმარე. ჰაეროვნება, სილამაზე, უბრალოება და გრძნობიერება შენ მიანიჭე ჩემს ნათხრობ ზღაპარს. სულო მოწამეო, ამ ზღაპრისა, მოგვითხრე იგი. გვითხარი, როგორ დაიბადა მშვენიერი, როგორ გახდება ბედნიერება მისი ბოლო, როგორ დასტოვებს ხსოვნას ის დროში, საუკუნეში. გვითხარი, როგორ გადმოიჩქეფა მაღალმა სულმა, როგორ დასტოვებს აზრს მარადიულს უსასრულობაში.

*1943 წელი, 6 თებერვალი*

* * *

მოთხრობის წერის დროს მგონია, რომ ყველაფერი ვიცი, თუ ეჭვი შემეპარა, ველარაფერს დავწერ, თუნდაც გამახსენდეს ისეთი ფაქტი ან მოვლენა, რომლის არცოდნა მოთხრობაზე არავითარ გავლენას არ მოახდენდა. წერის დროს მგონია, რომ ყველაფერი ვიცი პოლიტიკაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ტექნიკაში. ერთი ახალი, საინტერესო წიგნიც რომ გამახსენდეს წაუკითხავი, ისე თამამად ველარ ვწერ.

# სუფთა ქაღალდი

დავწერე ეს სათაური და ქაღალდი, რომელიც ჩემს მაგიდაზე დევს, უკვე აღარ არის სუფთა, თანდათან შავდება, თანდათან მელნით იფარება. აი, სწორედ ამ სიტყვებით, ამ ასოებით. ძნელია, ისეთი აზრები გაანდო ქაღალდს, ისეთი საინტერესო, ამაღელვებელი და მართალი ამბავი აღწერო ზედ, რომ უფრო სუფთა და წმინდა გახადო, უფრო მეტი ფასი შესძინო, ვიდრე ცარიელსა და დაუწერელს აქვს. ძვირფასი იქნება მაშინ ეს ქაღალდი, დასახევადაც ველარ გაიმეტებ, თუნდაც ზეპირად დაისწავლო ნაწერის შინაარსი. მაშინ აღარ იტყვი გულგატეხილად, რომ ქაღალდი სუფთა იყო, ახლა აღარ არის სუფთა და იქნებ ჯობდა, რომ სულაც არაფერი დაგეწერა ზედ. მაგრამ ძნელია, უძნელესია რაიმე საინტერესო, ამაღელვებელი და მართალი ამბავი გაანდო ქაღალდს.

იატაკზე ხალიჩაა დაგებული, ზედ ჩემი პატარა ბიჭი ზის, ხელში ფანქარი უჭირავს დანასავით და გაზეთს ჯღაბნის, მაგრამ ხშირ სტრიქონებში არ ჩანს გავლებული ხაზები, უფრო სწორედ, მეჩვენება, რომ თავის ნაჯღაბნს ბავშვი ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს, ამიტომ იქნებ არც ესმის, თუ რა არის ფანქარი, ალბათ, ჯოხისაგან ვერც ანსხვავებს. ამ ფურცლების ქვეშ, რომელშიც ახლა ვწერ, სხვა ფურცლებია, ვიღებ და წინ ვუყრი ბავშვს, თანდათან მის პატარა ხელს, რომელშიც ფანქარი უჭირავს, ჩემი ხელით ვამოძრავებ, ხაზებს ვავლებინებ ქაღალდზე, მერე თავს ვანებებ და ისევ მაგიდასთან ვჯდები. დაე, „ხატოს“ ჩემმა ბიჭმა, გაიგოს რა თვისება აქვს ფანქარს, მე კი ეს თეთრი ფურცელიც მეყოფა იმის სათქმელად, რომ ყველაზე მეტად, ყველაფერზე მეტად, ჩემი შვილი მიყვარს, რადგან იგი სწორედ ის სუფთა ქაღალდია, რომელზეც ყოველ დღე, ყოველ საათს და ყოველ წუთს საინტერესო, ამაღელვებელი და მართალი ამბავი იწერება.

*1957 წ.*



***ედიშერ ყიფიანი***

## საუბრები ბიბლიაზე



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

# ისააკი

გავიდა დრო, ისააკს შობიდან 40 წელი შეუსრულდა. აბრაამმა გადაწყვიტა მისთვის შესაფერი მეუღლე შეერჩია. მან ორი რამისგან უნდა დაიცვას აღსავლენის სამსხვერპლოდან დაბრუნებული თავისი საყვარელი ძე: ქანაანელ ასულთაგან და იმ ქვეყანაში დაბრუნებიდან, საიდანაც გამოვიდა აბრაამი, თუმცა ეს ქვეყანა მისი მამისა და ნათესავთა სამშობლოა. და კიდევ, ისააკმა ცოლი მხოლოდ და მხოლოდ აბრაამის სანათესაოდან უნდა მოიყვანოს. დაუძახა თავის ერთგულ ნათესავსა და სახლთუხუცეს ელიაზარს, რომელიც ყოველივეს განაგებდა მის სახლეულში და დაავალა – „გაფიცებ უფალს, ღმერთს ცისას და ღმერთს მიწისას. არ მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს ქანაანელთაგან, რომელთა შორისაც მე ვცხოვრობ; არამედ წახვიდე ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში და მოუყვანო ცოლი ჩემს ძეს, ისააკს“ (დაბ.24:3-4). აბრაამს მხედველობაში ჰქონდა თავისი სამშობლო, საიდანაც უფლის ნებით ოჯახთან ერთად წამოვიდა და სადაც მისი ძმა ნაქორი თავისი შთამომავლობით ცხოვრობდა.

ელიაზარი არ იყო დარწმუნებული ბატონის გადაწყვეტილების სისწორეში. მისი რწმენა ღვთის მიმართ არ იყო სრული და მიუხედავად აბრაამის გვერდით მრავალწლიანი ცხოვრებისა, ვერც მიმხვდარიყო, რომ აბრაამი შემთხვევით, ალალბედზე არაფერს აკეთებდა. ამიტომაც აბრაამს ელიაზარის ზედმიწევნით დარწმუნება მოუხდა: „უფალი, ღმერთი ცისა და ღმერთი ქვეყნისა, რომელმაც წამომიყვანა მამაჩემის სახლიდან და ქვეყნიდან, სადაც დავიბადე, რომელიც მელაპარაკა მე და შემომფიცა მე და მითხრა: შენ მოგცემ ამ ქვეყანას და შენს თესლს; იგი გაგზავნის თავის ანგელოზს შენ წინ, და მოუყვანე ცოლი ჩემს ძეს, ისააკს, იქიდან“ (დაბ.24:7). ამ სიტყვების შემდეგაც კი არ ტოვებს ეჭვები ელიაზარს. ამიტომაც აბრაამი კიდევ ერთხელ ანუგეშებს მას და ერთგვარად ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან: „თუ არ წამოგყვა ქალი, თავისუფალი ხარ ამ ჩემი ფიცისგან, ოღონდ იქ არ დააბრუნო ჩემი შვილი“ (დაბ.24:8).

ერთგული ელიაზარი დავალების შესასრულებლად გაემგზავრა. მესოპოტამიაში ჩასვლისას მან კიდევ ერთხელ მიმართა უფალს თხოვნით, მინიშნება მიეცა მისთვის. აღსანიშნავია, რომ უფალი ელიაზარისთვის ჯერ კიდევ „აბრაამის ღმერთად“ რჩება. „თქვა: უფალო, ჩემი პატრონის აბრაამის ღმერთო, ხელი მომიმართე დღევანდელ დღეს, მადლი უყავი ჩემს პატრონს, აბრაამს! აჰა, ვდგავარ ჭასთან და ამ ქალაქის მკვიდრთა ასულნი სადაცაა გამოვლენ წყლის ამოსაღებად. თუ მოხდა და ყმაწვილქალმა, რომელსაც ვეტყვი, პირი წაუქციე შენს კოკას, წყალს დავლევ-მეთქი, მითხრა, შენც დალიე და აქლემებსაც დაგირწყულებო, სწორედ ის იქნება შენი მორჩილისთვის, ისაკისთვის რომ გყავს დანიშნული. მივხვდები, რომ მადლი უყავი ჩემს პატრონს“ (დაბ.24:12-14). ელიაზარის რწმენა აბრაამის ღმერთისა მართლაც საგულისხმოა, მისი პატრონის წინასწარმეტყველური მადლიდან მასაც ერგო ნაწილი, რადგან ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ერთგულმა მსახურმა ჩაუთქვა. ჭასთან შეხვედრილი ქალწული სწორედ ისე მოიქცა, როგორც მსახურმა ჩაუთქვა. „...აჰა, გამოვიდა მხარზე კოკაშედგმული რებეკა, რომელიც შესძენოდა ბათუელს, მილქასა და აბრაამის ძმის, ნახორის ვაჟიშვილს. ყმაწვილი ქალი ძალზე კარგი იყო შესახედავად, ქალწული იყო, მამაკაცი არ გაჰკარებოდა. ჩავიდა წყაროზე, კოკა აავსო და ამოვიდა. გაიქცა მისკენ მორჩილი და უთხრა: ცოტა წყალი დამალევინე შენი კოკიდან. უთხრა ქალმა: დალიე ბატონო. ჩამოიღო კოკა და თავისი ხელით შეასვა წყალი. შეასვა თუ არა, უთხრა: შენს აქლემებსაც ამოვუზიდავ წყალს, ვიდრე არ დარწყულდებიან. უმალვე ჩამოსცალა გეჯაში კოკა და ისევ გაიქცა ჭისკენ წყლის ამოსაღებად. აქლემებსაც ამოუტანა წყალი“ (დაბ.24:15-20). გაოცდა ელიაზარი, დიდგვაროვანი ოჯახიშვილი, ულამაზესი ასული, თავმდაბლად და მოკრძალებით ემსახურება უცხოელს, არ უცხოობს მგზავრს და თავისი სანათესაოსთვის ჩვეული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლდება.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ელიაზარმა ჩაიფიქრა. მეტად რთული დავალება, ღვთის მადლით, რებეკამ (ასე ერქვა მშვენიერ ქალწულს, აბრაამის ძმის ნახორის შვილიშვილს) ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა. მაშინ კი გაიხარა ელიაზარმა, მიხვდა, რომ აბრაამის დავალება ღვთის შეწევნით პირნათლად შეასრულა. „მუხლი მოიყარა კაცმა და თაყვანი სცა უფალს. თქვა: კურთხეულ იყოს უფალი, ჩემი პატრონის, აბრაამის ღმერთი, რომელმაც არ მოაკლო წყალობა და სიყვარული ჩემს პატრონს...“ (დაბ.24:26-27).

რებეკას მიწვევით, ელიაზარი მისი მამის სახლისაკენ გაეშურა. შეიტყვეს რებეკას მშობლებმა ელიაზარის სტუმრობის მიზანი, თქვა მან: „მუხლი მოვიყარე და თაყვანი ვეცი უფალს; ვაკურთხე უფალი, ჩემი პატრონის, აბრაამის ღმერთი, რომელიც წამომიძღვა ჭეშმარიტი გზით, რომ ჩემი პატრონის ძმისწული მის შვილს მივგვარო ცოლად“ (დაბ.24:48). სიხარულით აღივსნენ რებეკას ნათესავები. „მიუგეს ლაბანმა და ბეთუელმა: უფლისგან არის ეს საქმე. ვერც ცუდს გეტყვით, ვერც კარგს. აჰა, აგერ არის რებეკა; წაიყვანე და წადი! გახდეს შენი პატრონის ძის ცოლი, როგორც უბრძანებია უფალს“ (დაბ.24:50-51). დაუძახეს რებეკას და ჰკითხეს და მანაც უპასუხა – წავალ. ამოიღო ელიაზარმა ძღვენი, რომელიც სამშობლოდან წამოიღო, დაასაჩუქრა ოქრო-ვერცხლით რებეკას ოჯახის წევრები, ხოლო მათ „დალოცეს რებეკა და უთხრეს: ჩვენი და ხარ შენ. ბევრათასჯერ იმრავლე, თავისი მტრების ქალაქები დაიმკვიდროს შენმა შთამომავლობამ! ადგნენ რებეკა და მისი მხევლები და შესხდნენ აქლემებზე, და გაჰყვნენ იმ კაცს. წაიყვანა მორჩილმა რებეკა და წავიდა“ (დაბ.24:60-61). გამოეშურნენ შინისაკენ აქლემებზე ამხედრებულნი.

საღამო ხანს ისააკი, შინიდან წამოსული, ბუნებაში სეირნობდა „და განსრულ იყო იგი ველად განცხრომად მიმწუხრი...“ (დაბ.24:63), სავარაუდოდ, თავის თავთან განმარტოებული ლოცულობდა. ზოგიერთი იუდეური წყაროს თანახმად, მწუხრი ლოცვის შემოღება სწორედ ისააკის სახელს უკავშირდება. „და აღმხილველმან თუალთამან იხილნა აქლემნი მომავალნი ათნი“ (დაბ.24:63). ღმერთმა წარაგზავნა ისააკი რებეკას შესახვედრად. გაიხედა რებეკამ და მისი ყურადღება განსაკუთრებულმა უცნობმა მიიპყრო, თავი იჩინა რებეკას წინასწარმეტყველური ჭვრეტის უნარმა. დაინახა ისააკი და ჩამოვიდა აქლემიდან. „უთხრა მორჩილს: ვინ არის ის კაცი, მინდორში რომ მოდის ჩვენს შესახვედრად? თქვა მორჩილმა: ჩემი პატრონია. აიღო ქალმა რიდე და ჩამოიფარა“ (დაბ.24:65). შეეგება ელიაზარი თავისი პატრონის ძეს, უამბო ყოველივე, რაც გადახდა და მიჰგვარა მას რებეკა. ხოლო „შეიყვანა ისააკმა ქალი თავისი დედის, სარას კარავში და შეირთო ცოლად. შეუყვარდა იგი ისააკს და დედის გამო მწუხარება გაუქარვდა“ (დაბ.24:67).

გაიხარა აბრაამმა და მისცა მას მთელი თავისი საბადებელი. ამის შემდეგ აბრაამმა კიდევ დიდხანს და მშვიდად იცხოვრა. ხნიერმა აბრაამმა ცოლად შეირთო კეტურა, რომელთანაც მას რამდენიმე ვაჟი შეეძინა. შემდგომში, ისმაელის მსგავსად, ისინი არაბ ტომთა მამამთავრები გახდნენ. აბრაამი გარდაიცვალა 175 წლის ასაკში. ისააკმა და ისმაილმა აბრაამი ჰებრონის გამოქვაბულში, სარას გვერდით დაასაფლავეს. „აღესრულა და მოკვდა აბრაამი ტკბილ სიბერეში, მოხუცებული და ხანსრული, და შეერთო თავის ხალხს“ (დაბ.25:8). აბრაამის სიკვდილის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ისააკი. დასახლდა ისააკი თავისი ოჯახობით ბერ-ლახაი-როის მახლობლად. აქ იწყება ისააკის, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პატრიარქის, ამბის ახალი ეტაპი.

ისააკი ის ყმაწვილია, რომელმაც ადრეულ ყრმობაში საკუთარი ზურგით, მისივე დასაწველად, სამსხვერპლოზე დასადებად გამზადებული შეშა ზიდა. ის უნდა შეწირული იყო ისეთი მსხვერპლშეწირვის წესით, რომელიც მსხვერპლის მთლიანად დაწვას, უფლისაკენ მის კვამლად ასვლას ითვალისწინებდა. ისააკის სანაცვლოდ, უფალმა სასწაულებრივად მოვლენილი ვერძი შეიწირა. მაგრამ ღმერთი „შიშის“ სახით შთაიბეჭდა მის შეგნებაში და ასევე გადავიდა მომდევნო თაობის ცნობიერებაში. ისააკის შვილისათვის მამაპაპეული ღმერთი, რომელიც პირველად აბრაამს გამოეცხადა, არის „ღმერთი მამაჩემისა, ღმერთი აბრაამისა, შიში ისააკისა“ (დაბ. 31:42). ისააკი აბრაამისაგან პასიურობით გამოირჩევა, მას თითქმის არასოდეს აქვს ინიციატივა, არ არის ქმედითი, შემართული. რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი შიში არა მხოლოდ უფალია, არამედ მშობლებიცა და შეიძლება ითქვას – შვილებიც.

ბიბლიურ ისტორიასა და წმინდანთა ცხოვრებაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც პიროვნება ცდილობს, ღმერთის მოსმენა ისწავლოს და თავგანწირვის ფასადაც კი დაადგეს გადარჩენის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას – უფლის რჩევებით იცხოვროს.

ასეთი ნეტარების შეგრძნება ჰქონდა აბრაამს, როგორც უფლის რჩეულს (დაბ. 17); ისააკს, როგორც შესაწირად გამზადებულს და შემდეგ უფლისაგან გამოხსნილს (დაბ. 22); განადგურების საშიშროების წინაშე მდგარ ებრაელ ხალხს, მას შემდეგ, რაც მეწამული ზღვის ფსკერი სასწაულებრივად გაიარა, ფეხქვეშ ხმელეთი შეიგრძნო და დაინახა, რომ მონობიდან მართლაც შესაძლებელი ყოფილა გათავისუფლება (გამ. 15); ასეთი ნეტარება შეიგრძნო მრავალმა ქრისტიანმა, მათ შორის ბევრმა ჩვენმა წინაპარმაც, რადგან მათზეა დაწერილი: „ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას“ (მთ. 5:5).

## გამოფენა

# სილამაზის სამყაროში





გალერეა „შარდენში“ 80-იანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფერისა და კომპოზიციის დიდოსტატის, ცნობილი მხატვრის, **ჯემალ კუხალაშვილის** საიუბილეო – მე-20 პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიცია მხატვრის შემოქმედების ერთგვარი რეტროსპექტივაა.

გამოფენის გახსნაზე, სხვა სტუმრებთან ერთად, საგანგებოდ იყვნენ მიწვეულები თბილისისა და დედოფლისწყაროს ანდრია ბენაშვილის სახელობის სკოლების პედაგოგები და უფროსკლასელები.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ოცდაათი ნამუშევრიდან თითოეული გიზიდავს დიდი ადამიანური სითბოთი, გხიბლავს ფერთა ჰარმონიითა და ექსპრესიულობით, ეს ყველაფერი კი ქმნის იმ ლამაზ სამყაროს, რომლის უშუალო მონაწილე ხდები დამთვალიერებელი. აღსანიშნავია, რომ ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედება, იმავდროულად, ღრმა დრამატიზმითაა გაჯერებული. *„ამ გამოფენამ თავი მართლაც ტრეტიაკოვის გალერეაში მაგრძნობინა“* – გულწრფელად აღნიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **მარიამ ბეჟიტაშვილმა.**

გალერეა „შარდენში“ ცოცხალი კლასიკური მუსიკა ჟღერდა. ბეთჰოვენის „ელიზე“ და „მთვარის სონატა“ გიტარაზე შეასრულა თბილისის კონსერვატორიის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა, საქართველოს პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტმა, მრავალი ჯილდოს მფლობელმა **გვანეტა ბეთანელმა.**

სკოლის დირექტორმა, აკადემიურმა დოქტორმა **ცაცა ბენაშვილმა** ულრმესი მადლიერება გამოხატა მასპინძლის მიმართ სპეციალური მოწვევისათვის და დასძინა: *„ემოციით დატვირთული ეს მშვენიერი დღე არასოდეს დაავიწყდებათ ჩვენი სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს“.*

***მარიკა პოპიაშვილში***

## მოსწავლე შემოქმედი

# როს მესხეთში რუსთაველი

*„ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სიტყვა დღესაც გამოიყენება აჭარულ დიალექტში, ზოგი იმავე მნიშვნელობით, ზოგი – მსგავსი.*

**მაჯამა**

როს მესხეთში რუსთაველი მარგალიტებს **აწყობდა**,
ჩემი ნენე აჭარაში მისთვის სიტყვებს **აცხობდა**.

თამარისთვის რუსთაველმა ღმერთთან ბევრი **იააჯა,**
ჩემი ნენე დაფიშმანდა, „ხომ არ უყვარს მეფე, **აჯა?**“

როსტევანმა სასახლეში რომ შეკრიბა **ჯალაბობა,**
ამ ამბავმა ჩემს ნენესთან დააფიქრა **ჯალაბობა.**

როცა მეფემ მოიწვია სანადიმოდ ყველა **ხასი,**
ჩემმა ნენემ მოუწონა, საქმეაო მეტად **ხასი.**

დაბნედილ ტარიელისთვის რომ ველარ ნახეს **დარმანი,**
ნენემ უცებ გამოიცნო მისი დერდი და **დერმანი.**

ტარიელი სატრფოსათვის რომ გავარდა მინდვრად **ხელი,**
ჩემი ნენე გადირია, „რატომ გახდა კაცი **ხელი?**”

მოყვარემ რომ მოყვარესთან არ დამალა **ხვაშიადი,**
ჩემი ნენე **შეფაშფაშდა,** მიხვდა მისი **ხვაშიადი.**

უსენმა რომ მეფის სახლში სვა მრავალი **დასტაქანი,**
**ცეცხლაპირთან** შიშით ნენეს დაუვარდა ძირს **სტაქანი.**

ნესტან-დარეჯანის ბაღში ვარდი იყო **ნაფუშავი,**
ნენეს სევდა მოემატა და ფიქრები **ნაფუშავი.**

მიჯნურისთვის ველად გაჭრა არ ყოფილა საქმე **ბედი,**
ნენეი მიხვდა, სიყვარულმა რომ გახადა კაცი **ბედი**.

რუსთაველმა პოემისთვის მეფეს მოსთხოვა **ფარმანი,**
ნენემ სიტყვები აკინძა და გაუგზავნა **ფარმანი.**

როს მესხეთში რუსთაველმა მარგალიტი **ააწყო,**
ჩემი ნენეს ფარმანიდან შიგ სიტყვები **ჩააწყო!**

იააჯა – ითხოვა (რუსთვ.)
აჯა – ნეტავ (აჭარ.)
ჯალაბობა – სასახლის წევრები (რუსთვ.)
ჯალაბობა – ოჯახის წევრები (აჭარ.)
ხასი – დიდებული (რუსთვ.)
ხასი –კარგი, გემრიელი (აჭარ.)
დარმანი – წამალი (რუსთვ.)
დერმანი – ნუგეში (აჭარ.)
ხელი – გადარეული (რუსთვ.)
ხელი – გიჟი (აჭარ.)
ხვაშიადი – გულისნადები (რუსთვ.)
ხვაშიადი – საიდუმლო (აჭარ.)
დასტაქანი – სასმისი (რუსთვ.)
სტაქანი – ჭიქა (აჭარ.)
ცეცხლაპირი –კერია (აჭარ.)



***ირა ძირკვაძე***
*გუმბათის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე*

ნაფუშავი – არეული (აჭარ.)
ნაფუშავი – გაშლილი (რუსთვ.)
ბედი – ტყუილუბრალო (რუსთვ.)
ბედი – გადარეული (აჭარ.)
ფარმანი – ნებართვა (რუსთვ.)
ფარმანი – წერილი (აჭარ.)
დაფიშმანდა – დაფიქრდა (აჭარ.)

***P.S.*** *სიტყვა სტაქანი აქამდე ბარბარიზმი მეგონა, ახლა კი, ვფიქრობ, ძველი ქართულია.*

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის №60 საჯარო სკოლის განახლებული ბიბლიოთეკა მოინახულა და სკოლას საჩუქრად საყმაწვილო ლიტერატურის კრებული გადასცა.

სასკოლო ბიბლიოთეკების მოწყობა პრეზიდენტის ერთ-ერთი ინიციატივა და სამინისტროს პრიორიტეტია, რომლის შედეგად, 2010 წლიდან, სასკოლო ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია და წიგნებით შევსება დაიწყო.

მე-60 საჯარო სკოლის ახალი ბიბლიოთეკა, რომლის საცავშიც თორმეტი ათასი წიგნია, თანამედროვე სტანდარტებისაა. კომფორტულ გარემოში შესაძლებელია გაკვეთილების, ლიტერატურული საღამოებისა და კონკურსების ჩატარება. სკოლას პერმანენტულად ცნობილი მწერლების, საზოდაგო მოღვაწეებისა და სხვა საინტერესო ადამიანების მოწვევა და მოსწავლეებთან მათი შეხვედრების ორგანიზება აქვს დაგეგმილი.

საკითხავი დარბაზის გარდა, მე-60 სკოლის ბიბლიოთეკას კომპიუტერებით აღჭურვილი კაბინეტიც აქვს, სადაც მოსწავლეებისთვის ნებისმიერი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ბიბლიოთეკის მოწყობა მხოლოდ სკოლის ბიუჯეტით განხორციელდა.

მხატვრული ლიტერატურის გარდა, სამინისტრო მაქსიმალურად ზრუნავს სასკოლო ბიბლიოთეკების სასწავლო სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით შევსებაზეც. გასულ წელს პირველად განხორციელდა სოციალურად დაუცველი ყველა კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, აღნიშნული წიგნები გამოყენების შემდეგ სასკოლო ბიბლიოთეკას გადაეცემა და მათი გამოყენების უფლება ნებისმიერ მოსწავლეს აქვს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ**, თბილისის მე-6 საჯარო სკოლის IX-X კლასის მოსწავლეებთან ერთად, ოკუპაციის მუზეუმი დაათვალიერა. ღონისძიება ოკუპაციის კვირეულის ფარგლებში გაიმართა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ოკუპაციის მუზეუმში ვიზიტს ითვალისწინებდა.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 21-დან 25 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების IX-XII კლასის მოსწავლეთათვის სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს. მათ შორისაა ოკუპაციის მუზეუმის დათვალიერება და იმ ფოტო-დოკუმენტური მასალის გაცნობა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პერიოდს – 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას უკავშირდება.

XX-XXI საუკუნეებში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს სამინისტრო უკვე მესამე წელია ახორციელებს. ყოველი წლის თებერვალში ცხადდება ოკუპაციის კვირეული, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა თემატური კონკურსები და გამოფენები იმართება. კვირეულის მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ და გაითავისონ ის ტკივილი, რასაც რუსული აგრესია და ოკუპაცია ჰქვია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობას გაეცნო. კონკურსის შედეგად ის IT სპეციალისტები შეირჩევიან, რომლებიც 2011 წლის საატესტატო გამოცდების ჩატარებას ტექნიკურად უზრუნველყოფენ.

როგორც ცნობილია, 2010-2011 სასწავლო წელს საატესტატო გამოცდები პირველად საქართველოში კომპიუტერის მეშვეობით, ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდება. გამოცდების შეუფერხებლად ჩატარებისთვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გამართული ინტერნეტმომსახურება. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.

2011 წლის 10 იანვრიდან 2011 წლის 1 თებერვლამდე, საქართველოს მასშტაბით, 1500-მდე მსურველმა გაიარა რეგისტრაცია. მათგან შერჩეული კანდიდატები ჯერ ტესტირებას გაივლიან, შემდეგ – გასაუბრებას. შერჩეული სპეციალისტები, რომლებიც საქართველოს სკოლებში გადანაწილდებიან, სამინისტროს დახმარებით სკოლებში შესაბამის ინფრასტრუქტურას მოაწყობენ და საატესტატო გამოცდების კომპიუტერების მეშვეობით ჩატარებას უზრუნველყოფენ.

ტესტირება უკვე გაიარეს თბილისის მასშტაბით შერჩეულმა კონკურსანტებმა. 2011 წლის 19 და 20 თებერვალს ტესტირებას რეგიონებიდან შერჩეული კანდიდატები გადიან. საბოლოოდ, კონკურსის წესით შერჩეული რამდენიმე ასეული ადამიანი დასაქმდება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ინტერაქტიური დაფის – Smart Board გამოყენებით მათემატიკის სამოდელო გაკვეთილი ჩატარდა. გაკვეთილის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**, სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი** და თბილისის საჯარო სკოლების პედაგოგები დაესწრნენ.

სამინისტროს საინოვაციო ცენტრში, კომაროვის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს მათემატიკის გაკვეთილი ამავე სკოლის მასწავლებელმა, **ვახტანგ ჯაოშვილმა** ჩაუტარა. გაკვეთილი ჩატარდა ინტერაქტიური დაფის გამოყენებით, რომელსაც უნიკალური შესაძლებლობები აქვს. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაფა ვირტუალური ლაბორატორიის ფუნქციასაც იძენს. კვლევებმა აჩვენა, რომ smart board-ის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მათ აკადემიურ მოსწრებას, ამცირებს ახალი მასალის ახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ხელს უწყობს მასალის დამახსოვრებას.

სამოდელო გაკვეთილები ინტერაქტიური დაფის გამოყენებით, სამინისტროს ინოვაციურ ცენტრში ყოველდღიურად ჩატარდება. გაკვეთილებს ჩაატარებენ პედაგოგები, რომლებმაც გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები smart board-ის გამოყენებაში. ცენტრის მიერ თბილისის სკოლების 200-მდე მასწავლებელი უკვე გადამზადდა. სამოდელო გაკვეთილებზე დასწრება თავისუფალია და ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გაეცნოს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, „გიორგი ოთარაშვილის იურიდიული კომპანია“ ახორციელებს პროექტს „კანონი ჩვენს ცხოვრებაში“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** და კომპანიების წარმომადგენლები 23-ე საჯარო სკოლას ეწვივნენ და, პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს სამართლებრივ საკითხებზე ესაუბრნენ, მათ შეკითხვებს უპასუხეს.

პროექტის „კანონი ჩვენს ცხოვრებაში“ განხორციელება თბილისის საჯარო სკოლებში 2010 წელს დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობს. მასში საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ. პროექტი უკვე განხორციელდა თბილისის 87-ე და 147-ე საჯარო სკოლებში, 2011 წლის 15 თებერვლიდან 2011 წლის 17 მარტის ჩათვლით თბილისის 24-ე, 128-ე, 81-ე და 56-ე საჯარო სკოლებში გაგრძელდება.

პროექტის მიზანია ძლიერი, აქტიური და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება. ადვოკატები და იურისტები მოსწავლეებს აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას თემებზე: სახელმწიფოს არსი და დანაწილების პრინციპი; სასამართლო ხელისუფლება; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ბავშვთა უფლებები; გენდერული თანასწორობა; საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები; დანაშაული, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; სისხლის სამართლის პროცესი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

პროექტმა დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში, ისინი აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული თემებისა თუ კაზუსების განხილვაში. საბოლოოდ პროექტი უზრუნველყოფს სკოლის ასაკის ბავშვებისათვის სამართლებრივი ცოდნის საფუძვლის შექმნას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განვითარებული, კანონის მცოდნე პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებიც თავისუფლად შეძლებენ საკუთარი უფლებების დაცვასა და განხორციელებას, შეისწავლიან და გაიაზრებენ საკუთარ მოვალეობებს ქვეყნისა თუ საზოგადოების წინაშე.

პროექტის დასკვნით შეხვედრაზე განხილული იქნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჩატარდება იმიტირებული პროცესი სისხლის სამართალში. პროექტში აქტიური მონაწილეობისთვის მოსწავლეებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეცავეს საჯარო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

**როზა გეგელია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ

## რედაქცია იწყებს აქციას

# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად გთავაზობთ ხელმოწერებს ექსკლუზიურ ფასად!

**„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“**
20-ტომეული, ერთი ტომი – 12 ლარი.

**საყმაწვილო ენციკლოპედია – „რა არის რა“**
50-ტომეული, ერთი ტომი – 11 ლარი.

შესაძლებელია ერთდროულად გამოიწეროთ რამდენიმე ტომი ორივე სერიიდან. უკვე გამოსულია „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ 9 ტომი, საყმაწვილო ენციკლოპედიის „რა არის რა“ – 27 ტომი.

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების სერიის პირველი ტომის (ვიქტორ ჰიუგო – „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“) და საყმაწვილო ენციკლოპედიის – „რა არის რა“ პირველი ტომის (მსოფლიოს შვიდი საოცრება) ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ მიმდინარე წლის 5 მარტამდე, „ბაზისბანკის“ ან „საქართველოს ბანკის“ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“ 202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ა/ა GE46BS0000000030236563, ბ/კ CBASGE22

მიმღები – შპს „ახალი განათლება“ 202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22, ა/ა 123631000

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერებიც!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.







ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.